ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
*Министерства просвещения Грузинской ССР*

**4**

აპრილი

თბილისი—1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე

კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI-62 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.75.

ფასი 10 კაპ.

შეკ. 370 ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, № 19.

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასწავლო გეგმა

## სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის 1962/63 სასწავლო წელი

| №№ | საგნები | კვირეული საათების რაოდენობა კლასების მიხედვით | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მე-3 | მე-4 | მე-5 | მე-6 | მე-7 | მე-8 | მე-9 | მე-10 | მე-11 |
| 1 | ქართული ენა . . . | 7 | 6 | 3 | 3 | 2 | 1 | — | — | — |
| 2 | ქართული ლიტერატურა | — | — | 2 | 2 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 |
| 3 | რუსული ენა . . . | 5 | 5 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |
| 4 | რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | 2 | 2/1 | 1/2 |
| 5 | არითმეტიკა . . . . | 6 | 6 | 5/4 | 2/1 | — | — | — | — | — |
| 6 | ალგებრა . . . . . | — | — | — | 3 | 2 | 2/1 | 3/2 | 2/1 | 2/1 |
| 7 | გეომეტრია . . . . | — | — | — | — | 2/3 | 2 | 1/2 | 1/2 | 2 |
| 8 | ტრიგონომეტრია . . | — | — | — | — | — | — | — | 2/1 | 1 |
| 9 | ბიოლოგია . . . . | — | — | 1/2 | 1,2 | 1 | — | 1 | — | — |
| 10 | ისტორია . . . . . | — | 1 | 1/2 | 1 | 2 | 2 | 2/3 | 2/3 | 2 |
| 11 | სსრ კავშირის კონსტიტუცია . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | 0/1 |
| 12 | გეოგრაფია . . . . | — | — | 1 | 2/1 | 2/1 | — | 1 | 1 | — |
| 13 | ფიზიკა . . . . . | — | — | — | — | 2/3 | 2/3 | 2/1 | 3,2 | 4 |
| 14 | ასტრონომია . . . | — | — | — | — | — | — | — | — | 1/0 |
| 15 | ქიმია . . . . . . | — | — | — | — | — | 2 | 2/1 | 1/2 | 1/2 |
| 16 | უცხო ენა . . . . | — | — | 2/1 | 1/2 | 2 1 | 2 | 1/2 | 1 | 1 |
| 17 | ხაზვა . . . . . . | — | — | — | — | — | 1 | 0/1 | 1 | — |
| 18 | პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 2/1 | 1/2 | 2/1 |
| | ს უ ლ | 18 | 18 | 19 | 19 | 19 | 19 | 21 | 21 | 21 |
| | კონსულტაცია | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | ს უ ლ | 18 | 18 | 21 | 21 | 21 | 21 | 22 | 22 | 22 |

ეროვნული

# განმარტებითი ბარათი

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში სასწავლო წელი იწყება 1-ლ სექტემბერს.

სასწავლო წლის პირველი ნახევრის ხანგრძლიობა შეადგენს 17 სასწავლო კვირას (1-ლი სექტემბრიდან 30 დეკემბრამდე), მეორე ნახევრისა კი 19 სასწავლო კვირას (10 იანვრიდან 25 მაისამდე).

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტარდება საზამთრო არდადეგები 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე.

სასწავლო მეოთხედების დაწყებისა და დამთავრების ვადები იგივეა, რაც მასობრივ სკოლებში.

მეცადინეობა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ტარდება ცალკეულ კლასებში ან სხვადასხვა კლასიდან დაკომპლექტებულ ჯგუფებში, რომლებიც ყალიბდება მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით და საწარმოო სპეციალობათა სახეების მიხედვით.

საკონსულტაციო საათები განკუთვნილია იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც დამატებით პედაგოგიურ დახმარებას საჭიროებენ და საგნებს შორის ნაწილდება სკოლის დირექტორის მიერ.

საკონსულტაციო საათების ჩატარება რეკომენდებულია გაკვეთილებიდან თავისუფალ დღეებში.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მეცადინეობა ტარდება კვირაში ოთხ დღეს: მე-3, მე-4 კლასებში 2 დღეს—4—4 გაკვეთილი და 2 დღეს 5—5 გაკვეთილი;

მე-5—მე-8 კლასებში—3 დღეს 5—5 და ერთ დღეს 4 გაკვეთილი.

მე-9—მე-11 კლასებში—3 დღეს 5—5 და ერთ დღეს 6 გაკვეთილი.

გაკვეთილის ხანგრძლიობა, როგორც წესი 45 წუთია.

ამასთანავე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ ისტორიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან:

IV კლასში ისწავლება დაწყებითი პოლიტიკური ცნობები და მიმდინარე პოლიტიკის საკითხები, რისთვისაც კვირაში გამოყოფილია 1 საათი;

VII—VIII კლასებში 10—10 საათი დათმობილი აქვს საქართველოს ისტორიის იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის ისტორიის კურსში;

IX—X კლასებში სასწავლო წლის მეორე ნახევარში ისწავლება საქართველოს ისტორია, რისთვისაც განკუთვნილია კვირაში 2—2 საათი;

IX კლასში სასწავლო წლის მეორე ნახევარში კვირაში თითო საათი ეთმობა ახალ ისტორიას;

XI კლასში სასწავლო წლის პირველ ნახევარში კვირაში თითო საათი დათმობილი აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების უახლეს ისტორიას.

გარდა ამისა, X კლასში გეოგრაფიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან 15 საათი ეთმობა საქართველოს გეოგრაფიას.

IX, X და XI კლასებში შეიძლება შემოღებულ იქნას დამატებით ფაკულტატური მეცადინეობა უცხო ენაში, კვირაში ორი საათის რაოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ჰყავს მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტი და საგნის კვალიფიციური მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„УТВЕРЖДАЮ"
Министр просвещения Грузинской
ССР Т. Лашкарашвили

## УЧЕБНЫЙ ПЛАН

**русской вечерней (сменной) общеобразовательной средней школы сельской молодежи на 1962/63 учебный год.**

| №№ | Наименование предметов | Количество часов в неделю по классам | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI |
| 1 | Русский язик . . . | 8 | 8 | 3 | 3 | 2/1 | 1 | — | — | — |
| 2 | Русская литература . | — | — | 3 | 3 | 1/2 | 2 | 4 | 4/3 | 3 |
| 3 | Грузинскии язык . . . | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2/3 |
| 4 | Арифметика . . | 7 | 6 | 5/4 | 2/1 | — | — | — | — | — |
| 5 | Алгебра . . . . . . . | — | — | — | 3 | 2 | 2/1 | 3/2 | 2/1 | 2/1 |
| 6 | Геометрия . . . . . . | — | — | — | — | 2/3 | 2 | 1/2 | 1/2 | 2 |
| 7 | Тригонометрия . . . | — | — | — | — | — | — | — | 2/1 | 1 |
| 8 | Биология . . . . . . | — | — | 1/2 | 1/2 | 1 | — | 1 | — | — |
| 9 | История . . . . . . . | — | 1 | 1/2 | 1 | 2 | 2 | 2/3 | 2/3 | 2 |
| 10 | Конституция СССР . . | — | — | — | — | — | — | — | — | 0/1 |
| 11 | География . . . . . . | — | — | 1 | 2/1 | 2/1 | — | 1 | 1 | — |
| 12 | Физика . . . . | — | — | — | — | 2/3 | 2/3 | 2/1 | 3 2 | 4 |
| 13 | Астрономия . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | 1/0 |
| 14 | Химия . . . . . | — | — | — | — | — | 2 | 2/1 | 1/2 | 1 2 |
| 15 | Иностранный язык . . | — | — | 2/1 | 1/2 | 2/1 | 2 | 1/2 | 1 | 1 |
| 16 | Черчение . . . . . | — | — | — | — | — | 1 | 0/1 | 1 | — |
| 17 | Повышение профессион. квалификации . . . | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 2 1 | 1/2 | 2/1 |
| | Итого: | 18 | 18 | 19 | 19 | 19 | 19 | 21 | 21 | 21 |
| | Консултации | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | Всего: | 18 | 18 | 21 | 21 | 21 | 21 | 22 | 22 | 22 |

## ОБ"ЯСНИТЕЛЬНАЯ ЗАПИСКА

В вечерних (сменных) общеобразовательных школах сельской молодежи учебный год начинается 1 сентября.

Продолжительность первой половины учебного года составляет 17 учебных недель (с 1 сентября до 30 декабря). Второй половины 19 учебных недель (с 10 января до 25-го мая).

В вечерних (сменных) общеобразовательных школах сельской молодежи проводятся зимние каникулы с 30 декабря до 10 января.

Время начала, окончания и продолжительности учебных четвертей те же, что и в массовых школах.

Занятия по повышению профессиональной квалификации проводятся в классах или группах, укомплектованных из разных классов, которые организуются с учетом желания учащихся и по принципу однородности или родственности их производственных специальностей.

Консультационные часы, предусмотренные в учебном плане для оказания дополнительной педагогической помощи учащимся, нуждающимся в этом, распределяются между предметами директором школы.

Консультации рекомендуется проводить в дни, свободные от занятии.

В вечерних (сменных) школах сельской молодежи занятия проводятся четыре дня в неделю;

В III—IV классах—2 дня проводится по 4 урока, другие два дня по 5 уроков.

В V—VIII классах—3 дня по 5 уроков и один день 4 урока.

В IX—XI классах—3 дня по 5 уроков и один день—6 уроков.

Продолжительность урока 45 минут.

Вместе с этим следует учесть, что из общего количества часов отведённых на историю:

В IV классе изучаются начальные политические сведения и вопросы текущей политики, для которой отводится один недельный час;

В VII—VIII классах отводится по 10 часов для изучения вопросов истории Грузии, которые внесены в курс истории СССР;

В IX—X классах во II полугодии изучается история Грузии, для которой отводится по 2 недельных часа;

В IX классе во II полугодии изучается новая история, для которой отводится один недельный час;

В XI классе в I полугодии на изучение новейшей истории зарубежных стран отводится один недельный час.

Кроме этого, из общего количества часов, отведённых для географии, на изучение географии Грузии отводится 15 часов.

В IX, X, XI классах возможно введение дополнительного факультативного занятия по иностранному языку, из расчета в неделю 2 часа, при условии надлежащего контингента учащихся если школа имеет квалифицированного учителя по данному предмету.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„УТВЕРЖДАЮ"
Министр просвещения Грузинской ССР Т. Лашкарашвили

## УЧЕБНЫЙ ПЛАН

**для армянской и азербайджанской вечерней (сменной) общеобразовательной средней школы сельской молодежи на 1962/63 учебный год.**

| №№ | | Количество часов в неделю по классам | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI |
| 1 | Родной язык | 7 | 6 | 2 | 2 | 2 | — | — | — | — |
| 2 | Родная литература | — | — | 2 | 2 | 1 | 3/2 | 3 | 3 | 3/2 |
| 3 | Руский язык | 5 | 5 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | — |
| 4 | Русская литература | — | — | 1 | 2/1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 |
| 5 | Грузинский язык | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 6 | Арифметика | 6 | 6 | 4/5 | 2/1 | — | — | — | — | — |
| 7 | Алгебра | — | — | — | 3 | 2 | 1/2 | 3/2 | 2/1 | 2/1 |
| 8 | Геометрия | — | — | — | — | 2/3 | 2 | 1/2 | 1/2 | 2 |
| 9 | Тригонометрия | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 |
| 10 | Биология | — | — | 2/1 | 1/2 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 11 | История | — | 1 | 1/2 | 1 | 2 | 2 | 2/3 | 2/3 | 2 |
| 12 | Конституция СССР | — | — | — | — | — | — | — | — | 0/1 |
| 13 | География | — | — | 1 | 1 | 1 | — | 1 | 1 | — |
| 14 | Физика | — | — | — | — | 2 | 2/3 | 2/1 | 3/2 | 4 |
| 15 | Астрономия | — | — | — | — | — | — | — | — | 0/1 |
| 16 | Химия | — | — | — | — | — | 2 | 2/1 | 1/2 | 1/2 |
| 17 | Иностранный язык | — | — | 2/1 | 1/2 | 2/1 | 2/1 | 1/2 | 1 | 1 |
| 18 | Черчение | — | — | — | — | — | 1 | 0/1 | 1 | — |
| 19 | Повышение профессиональной квалификации | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 2/1 | 2/1 | 2/1 |
| | Итого: | 18 | 18 | 19 | 19 | 19 | 19 | 21 | 21 | 21 |
| | Консультации | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | Всего: | 18 | 18 | 21 | 21 | 21 | 21 | 22 | 22 | 22 |

ᲒᲘᲜᲘᲡᲢᲔᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

В вечерних (сменных) общеобразовательных школах сельской молодежи учебный год начинается 1 сентября.

Продолжительность первой половины учебного года составляет 17 учебных недель (с 1 сентября до 30 декабря). Второй половины 19 учебных недель (с 10 января до 25-го мая).

В вечерних (сменных) общеобразовательных школах сельской молодежи проводятся зимние каникулы с 30 декабря до 10 января.

Время начала, окончания и продолжительности учебных четвертей те же, что и в массовых школах.

Занятия по повышению профессиональной квалификации проводятся в классах или группах, укомплектованных из разных классов, которые организуются с учетом желания учащихся и по принципу однородности или родственности их производственных специальностей.

Консультационные часы, предусмотренные в учебном плане для оказания дополнительной педагогической помощи учащимся, нуждающимся в этом, распределяются между предметами директором школы.

Консультации рекомендуется проводить в дни, свободные от занятий.

В вечерних (сменных) школах сельской молодежи занятия проводятся четыре дня в неделю:

В III—IV классах—2 дня проводится по 4 урока, другие два дня—по 5 уроков.

В V—VIII классах—3 дня по 5 уроков и один день—4 урока.

В IX—XI классах—3 дня по 5 уроков и один день—6 уроков.

Продолжительность урока 45 минут.

Вместе с этим следует учесть, что из общего количества часов отведённых на историю:

В IV классе изучаются начальные политические сведения и вопросы текущей политики, для которой отводится один недельный час;

В VII—VIII классах отводится по 10 часов для изучения вопросов истории Грузии, которые внесены в курс Истории СССР;

В IX—X классах во II полугодии изучается история Грузии, для которой отводится по 2 недельных часа;

В IX классе во II полугодии изучается новая история, для которой отводится один недельный час;

В XI классе в I полугодии на изучение новейшей истории зарубежных стран отводится один недельный час.

Кроме этого, из общего количества часов, отведённых для географии, на изучение географии Грузии отводится 15 часов.

В IX, X, XI классах возможно введение дополнительного факультативного занятия по иностранному языку, из расчета в неделю 2 часа, при условии надлежащего контингента учащихся если школа имеет квалифицированного учителя по данному предмету.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილება

1962 წელი, 16 მარტი.

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების წერილი რუსთავის განათლების განყოფილებისა და რუსთავის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სახელზე ქ. რუსთავის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შესახებ, მოწონებულ იქნეს.

2. ქ. რუსთავის განათლების განყოფილებამ და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა გადამჭრელი ზომები მიიღონ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ 1962 წლის აპრილის ბოლოსათვის აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირს.

3. დასახელებული წერილი განხილული იქნეს რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებში და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ადგილზევე დაისახოს და გატარდეს კონკრეტული ღონისძიებანი.

4. რესპუბლიკის რაიონების და ქალაქების განათლების განყოფილებებმა და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირებმა ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებს წერილის განხილვის საქმეში და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მათ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა

და ორგანიზაციების კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას და შედეგების შესახებ მოგვახსენონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ სპორტულ
საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე
გ. სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ს. როსნაძეს

### ქ. რუსთავის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს ამხ. გ. ყარალაშვილს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მიერ გამოყოფილმა კომისიამ მიმდინარე წლის თებერვალში შეამოწმა ქ. რუსთავის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ბრძანებების შესრულების მდგომარეობა. შემოწმებული იქნა ქ. რუსთავის ათი საშუალო სკოლა და ბავშვთა სპორტული სკოლა. შემოწმებამ გამოავლინა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, სახელდობრ.

ძალზე დაბალ დონეზეა დაყენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა დაწყებით კლასებში; სკოლის დირექტორები არავითარ ღონისძიებებს არ ატარებენ იმ მიმართულებით, რომ სრული მოცულობით შესრულდეს დაწყებით კლასებში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები ფიზიკური აღზრდის დარგში.

ამასთან ერთად, ადგილი აქვს ფიზიკური კულტურის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 1/1825 საინსტრუქციო წერილის დარღვევას, ასე, მაგალითად, ქ. რუსთავის № 10 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ვაჟებთან ფიზიკური კულტურის გაკვეთილები არ ტარდება.

არ სრულდება ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა სამედიცინო კონტროლის დებულების მოთხოვნები, სკოლებში რეგულარულად არ ტარდება სამედიცინო შემოწმება, როგორც სასწავლო წლის დაწყების, ასევე სპორტულ შეჯიბრებებზე მონაწილეობის წინ. მოუწყობელია სპორტული მოედნები მე-2, მე-5 და მე-10 საშუალო სკოლებთან და მძლეოსნური სექტორები (სარ-

ბენი ბილიკები, სატყორცნი ადგილები, სახტომი ორმოები) მე-5, მე-6, მე-11 საშუალო სკოლებთან. არც ერთ სკოლაში არ ტარდება მეცადინეობამდე ტანვარჯიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6, მე-10, მე-11 საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არც ერთხელ არ არის მოსმენილი საკითხი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შესახებ.

სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივების სპორტულ სექციებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ჩაბმული, რაც ვერ უზრუნველყოფს სპორტული მუშაობის მასობრიობას. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მოსწავლეთა მომზადება მშთ და იმშთ ნორმებზე, განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების საქმე.

არ სრულდება სასკოლო სპორტული კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებები (ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა), ხოლო მე-2 საშუალო სკოლას საერთოდ არა აქვს შედგენილი კალენდარი.

სკოლებში ცუდადაა დაყენებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა, არ ჩანს შეფის დახმარება, სკოლებთან მოწყობილი არაა ფიზკულტურული კუთხეები, გამოფენები სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით, იშვიათად ტარდება საუბრები სპორტულ თემებზე და სხვა.

ბავშვთა სპორტულ სკოლაში ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში მეცადინეობისას გათვალისწინებული არაა მოსწავლეთა სქესი, ასაკი და სწავლების წელი. ამასთანავე მეცადინეობა ქალებისა და ვაჟებისათვის ერთად ტარდება, ისინი წყობილებაში ერთად დგანან, ერთად მოძრაობენ და თითქმის ერთნაირი დატვირთვით მეცადინეობენ. მძლეოსნობის ჯგუფებში ადგილი აქვს ცალმხრივ მომზადებას, მოსწავლეებს ამზადებენ მხოლოდ 100 მ. რბენაში ან გამორბენით სიგრძე-სიმაღლეზე ხტომაში. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მაღალი თანრიგის მქონე მოსწავლე სპორტსმენთა მომზადება. სპორტული სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა საჭიროებს სათანადო შეკეთებას და სპორტული ინვენტარით შევსებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივებსა და ბავშვთა სასპორტო სკოლაში სუსტადაა დაყენებული საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (ფიზორგების, მსაჯების, ინსტრუქტორების) მომზადება.

ეს ნაკლოვანებანი არის იმის შედეგი, რომ ქ. რუსთავის განათლების განყოფილება და სპორტულ საზოგადოებათა და ორგა-

ნიზაციების კავშირი ჯერ კიდევ არ ხელმძღვანელობენ კონკრეტულად სკოლებში ფიზკულტურულ საქმიანობას და, თავის მხრივ, სკოლების დირექტორები ფიზიკური აღზრდის ჯეროვან ნიადაგზე დაყენების მიზნით არ ატარებენ ერთიან, მტკიცე, თანმიმდევრულ ღონისძიებებს.

მოსწავლეთა შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებისათვის აუცილებელია არსებითად იქნეს გაუმჯობესებული საქალაქო განათლების განყოფილებისა და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ხელმძღვანელობა სკოლებზე და გადაჭრით იქნეს ამაღლებული სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობა ამ საქმეზე.

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს სკოლების სამმართველო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა
და ორგანიზაციების კავშირის მოსწავლე
ახალგაზრდობის განყოფილება

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ქოსალარის სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიან სკოლაზე განათლების სამინისტროში შემოსული მამხილებელი წერილის შემოწმების შედეგების შესახებ**

1962 წ. 27 მარტი

დადასტურდა, რომ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ქოსალარის სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. სკოლის დირექტორი დ. მუსაევი და მასწავლებლები ცდილობენ მიჩქმალონ ეს ნაკლოვანებანი. მიმდინარე წლის 24 იანვარს სკოლაში არ გამოცხადდა არც ერთი მოსწავლე, რის გამო მეცადინეობა არ ჩატარებულა. მიუხედავად ამისა, საკლასო ჟურნალებში შეტანილი აღმოჩნდა ახალი მასალა: V კლასის საკლასო ჟურნალში აზერბაიჯანული ენის მასწავლებელ მ. ს. საფაროვს შეტანილი ჰქონდა „Муму", არითმეტიკის მასწავლებელს გ. ს. გასანოვს — „ათწილადები", რუსული ენის მასწავლებელს ი. ს. მუსაევს „Мой день" და ა. შ. უფრო მეტიც; თვით სკოლის დირექტორს ახალი მასალა ბოტანიკაში VI კლასის ჟურნალში ერთი დღით ადრე შეეტანა.

მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა აღნიშნულ სკოლაში 1961 წლის 16 ნოემბერსაც, როდესაც იგი თეთრიწყაროს განათლების განყოფილებამ შეამოწმა.

სკოლაში ძალზე მცირეა მოსწავლეთა კონტინგენტი. სამ კლასში 17 მოსწავლე ირიცხება. ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლიდან სასწავლო წლის დასაწყისიდან დღემდე გაითესა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 30%.

ქოსალარის სოფლის ახალგაზრდობის აზერბაიჯანული შვიდწლიანი სკოლა კადრებითაც არასწორადაა დაკომპლექტებული; ასე, მაგალითად, გერმანული ენის მასწავლებელი მუსტაფაევი ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტია, რუსული

ენის მასწავლებელი ი. მუსაევი — ბაქოს პედაგოგიური ინსტიტუტის I-ლი კურსისა, ხოლო აზერბაიჯანული ენის მასწავლებელს მ. ს. საფაროვს დამთავრებული აქვს პედსასწავლებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცუდადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. სკოლის დირექტორს, შემოწმების დღისათვის, მოსმენილი არ ჰქონდა არც ერთი გაკვეთილი.

მოუგვარებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. მოსწავლეთა ერთ ნაწილს არა აქვს ცნობა განათლების შესახებ, დაბადების მოწმობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. ქოსოლარის სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლის დირექტორს დ. მუსაევს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის.

2. ქოსოლარის სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებს ამხ. ამხ. მ. ს. საფაროვს (აზერბაიჯანული ენა), გ. ნ. გასანოვს (არითმეტიკა) და ი. ს. მუსაევს (რუსული ენა) თვალის ახვევის ცდისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

3. გაფრთხილებულ იქნეს თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ტყეშელაშვილი ქოსოლარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის.

4. დაევალოს თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ტყეშელაშვილს უახლოეს ხანში ერთხელ კიდევ გულდასმით შეისწავლოს ქოსოლარის სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიან სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ამ სკოლის საკითხი შეიტანოს განსახილველად თეთრიწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე, შედეგები აცნობოს განათლების სამინისტროს.

5. დაევალოს თეთრიწყაროს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ტყეშელაშვილს, გააძლიეროს ყურადღება აღნიშნული ტიპის სკოლების მუშაობაზე, უზრუნველყოს ისინი გამოცდილი ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრებით.

6. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვა-

ნელობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობისადმი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 9 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ტყიბულის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1962 წლის 17 აპრილი

გავეცანი რა ტყიბულის რაიონის განათლების განყოფილების და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ტყიბულის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე გ. ნასარაია) სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს სკოლების მუშაობაზე. მ/სასწავლო წელს განათლების განყოფილებას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი რაიონის ყველა სკოლის (18 საშ., 11 შვიდწლიანი, 8 დაწყებითი) მუშაობა. შემოწმების შედეგები განხილულია განათლების საბჭოს სხდომებზე და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით მიღებულია სათანადო დადგენილებები, რომლებიც ფორმდება ბრძანების სახით და ეგზავნება ყველა სკოლას; სისტემატურად ხდება სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება.

განათლების განყოფილება პედაგოგიურ კაბინეტთან (გამგე ვ. ტურძელაძე) ერთად ახდენს რაიონის მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის განზოგადებას; საგნობრივ მეთოდ გაერთიანებებში აგრეთვე სისტემატურად წარმოებს ახალი სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურისა და საჟურნალო სტატიების მიმოხილვები, ეწყობა მეთოდური ლიტერატურის გამოფენები, იხილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნები და სამეცნიერო სტატიები.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით რაიონის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართოდ არიან ჩაბმული სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. ტყიბულქვანახშირის ტრესტი (მმართველი ლ. რატიანი) აშენებს ტიპიურ სასკოლო შენობას 880 მოსწავლეზე და პიონერთა სასახლეს; ტრესტის დახმარებით ქალაქის 5 საშუალო სკოლაში მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები. გასული წლის ზაფხულში 3 თვის განმავლობაში აშენდა ხრესილის საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ობოლაძე) შენობა, მშენებლობაზე ძირითადად მუშაობდა ამ სკოლის

და ქ. ტყიბულის სკოლების მოსწავლეთა ბრიგადები. ამას გარდა, გასულ სასწავლო წელს რაიონის სკოლებს მიშენდა 56 საკლასო ოთახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ზოგი სკოლა მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს სკოლის წინაშე ამჟამად მდგარი ახალი ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყიბულის პირველი (დირექტორი პ. კუბლაშვილი), ტყიბულის მეორე (დირექტორი ა. ბოჭორიშვილი), საწირის (დირექტორი ი. ბარბაქაძე) საშუალო სკოლების საქმიანობა.

მუშაობის კარგ ნიმუშებს იძლევიან დაწყებითი კლასების მასწავლებელი ნ. ოდილაძე (საწირის საშ. სკ.); ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ვ. ტურძელაძე, ვ. ბოჭორიშვილი (ტყიბულის მეორე საშ. სკ.); დ. არსენიძე, ნ. გოგოლაძე, პ. ცირიკიძე (საწირის საშ. სკ.), ნ. ბუაძე (ტყიბულის მეხუთე საშ. სკ.); გერმანული ენის მასწავლებლები ნ. ჭანტურიძე, ნ. ჯიშიაშვილი (ტყიბულის მეორე საშ. სკ.), ე. მამაგეიშვილი (საწირის საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლები დ. დევიძე (საწირის საშ. სკ.). ა. ცირეკიძე (ტყიბულის II საშ. სკ.), თ. ქარქაშიძე (ორპირის საშ. სკ.), გ. ბერძული (ტყიბულის პირველი საშ. სკ.); ქიმიის მასწავლებლები ბ. ბუაძე (ტყიბულის მეორე საშ. სკ.), ა. სირბილაძე (კურსების საშ. სკ.), ბიოლოგიის მასწავლებლები ო. ნიშნიანიძე, ს. ბუხაიძე (საწირის საშ. სკ.), ა. ჩხაიძე (ტყიბულის პირველი საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლები მ. ლომთაძე (გურნის საშ. სკ.), ბ. მერკვილაძე (ორპირის საშ. სკ.) გეოგრაფიის მასწავლებლები ა. ჯიშიაშვილი (ტყიბულის მეხუთე საშ. სკ.), ვ. ბეროძე (კურსების საშ. სკ.).

კარგად არის დაყენებული საწარმოო სწავლება ტყიბულის II და V საშუალო სკოლებში. ამ სკოლების მოსწავლეები ელექტროზეინკლისა და ზეინკლის პროფესიებს ეუფლებიან ტყიბულქვანახშირის ტრესტის ელექტრომექანიკურ სახელოსნოში. მეორე საშ. სკოლის 19 მოსწავლეს მინიჭებული აქვს ზეინკლის თანრიგები, ისინი უკვე ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას, მათ მიერ სკოლაში გაყვანილია რადიო კვანძი, შეკეთებულია ცენტრალური გათბობის სისტემა და 181 ცალი ელექტროძრავი, საბინაო განყოფილების დაკვეთით დამონტაჟებულია 2165 ცალი ელექტრომრიცხველი და სხვ ასევე კარგად არის დაყენებული საწარმოო სწავლება ორპირის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ინჟინერ-ტექნოლოგი კ. ქათამაძე).

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული საყოველთაოსავალდებულო სწავლების კანონის გატარების უზრუნველყოფისათვის, სათანადო ყურადღება ექცევა სასკოლო დოკუმენტების გა-

ფორმებისა და მოვლის საქმეს; საგრძნობი წარმატებებია მო[illegible]ბული მოსწავლეთა, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესაფარდებლად ახალ მოთხოვნილებებთან.

მიუხედავად ამისა ტყიბულის რაიონის სკოლების მუშაობაში გვხვდება ნაკლოვანებები.

დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი, კერძოდ, ც. ჯანელიძე, ბ. წერეთელი, ნ. გვენეტაძე (ტყიბულის მეორე საშ. სკ.) სუსტად მუშაობს. თვით მასწავლებლები ვერ აძლევენ მოსწავლეებს გამართული მეტყველების ნიმუშებს. მოსწავლენი წერენ უსუფთაოდ და ულამაზოდ, უშვებენ ენობრივ შეცდომებს, მათ არ აქვთ გამომუშავებული სწორი კითხვის ჩვევები.

სუსტად მუშაობენ დედაენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. მოწონელიძე, ა. ბაბუხადია, ნ. უკლება (გურნის საშ. სკ.), ქ. ჯინჯიხაძე, ვ. ბასილაძე, მ. აფხაიძე (ორპირის საშ. სკ.), გ. გაბრიაძე (კურსების საშ. სკ.). ისინი ქართული ენის გრამატიკას ასწავლიან ზედაპირსიტყვიერად, ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით; საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს, ტექსტზე დამოუკიდებელ მუშაობას; ყურადღებით არ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს და საკმაო რაოდენობით არ ატარებენ ვარჯიშს დაშვებულ შეცდომების გასწორებაზე. ქართულ ენაში განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს გურნის საშუალო სკოლის დამამთავრებელი X კლასის (მასწავლებელი ნ. უკლება) მოსწავლეებმა.

სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს კურსების საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ი. ხოსიაშვილი; იგი არ აწარმოებს ლექსიკურ მუშაობას, ზოგჯერ მოსწავლეებს არასწორ თარგმანს აწვდის. სათანადოდ არ ემზადებიან და დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს გერმანული ენის მასწავლებლები ე. ბახტაძე (ტყიბულის პირველი საშ. სკ.), ა. ლომთაძე (გურნის საშ. სკ.), ა. ჩხიკვაძე, ნ. ახვლედიანი (ორპირის საშ. სკ.) ამის შედეგად მათ მოსწავლეებს უჭირთ კითხვა და თარგმნა, ვერ ერკვევიან გრამატიკის ელემენტარულ საკითხებში, ღარიბია მათი ლექსიკური მარაგი.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ტყიბულის V (მასწავლებელი ლ. გარნოვსკი). გურნის (მასწავლებელი ი. ივანიშვილი), ორპირის (მასწავლებელი ა. ბახტაძე) საშუალო სკოლების X—XI კლასების მოსწავლეებმა.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში ტყიბულის V (მასწავლებელი ლ. გარნოვსკი), ორპირის (მასწავლებელი გ. გიო-

რგაძე), კურსების (მასწავლებელი ა. არსენიძე) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. ტყიბულის V საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან კრისტალური და ამორფული სხეულების დნობისა და გამყარების პროცესებში და სხეულების სითბური გაფართოებაში. ორპირისა და კურსების საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა არ იციან ელექტრომაგნიტური ტალღების ბუნება და მათი პრაქტიკული გამოყენება, რადიოგადამცემ სადგურსა და მიმღებს შორის კავშირის დამყარების ფიზიკური შინაარსი, სინათლის ტალღების ინტერფერენცია ორმხრივ ამოზნექილ ლინზებში სინათლის სხივების სვლა, ელექტროენერგიის საზომ ხელსაწყო-იარაღთა ტიპები და მათი გამოყენება და სხვა.

მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს გურნის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მ. ძოწენიძე, რის გამოც ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე: VIII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან დადებითი და უარყოფითი ვალენტობის ცნებებში, არ იციან მეტალების ქიმიური თვისებები, ალუმინის მიღება, მისი ნაერთების თვისებები. სკოლას არ აქვს ქიმიის კაბინეტი და არ ტარდება ცდები და პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები. სათანადოდ ვერ ფლობენ საგანსა და დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს საწირისა და ორპირის საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლები ს. ბუხაიძე და ბ. ნიშნიანიძე — არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ცდებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში უშვებენ ლიბერალიზმს.

კურსების (მასწავლებელი ი. უკლება) და ტყიბულის V (მასწავლებელი ა. დიაკონიძე) საშუალო სკოლებში ისტორიის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე, საჭირო ყურადღება არ ექცევა გავლილი საპროგრამო მასალის განმეორებას, გაკვეთილები ტარდება თვალსაჩინოების გარეშე და სხვ. ამის შედეგად მოსწავლეებს არ აქვთ გავლილი მასალის მტკიცე ცოდნა და არ შესწევთ ისტორიული მოვლენების გარჩევისა და შეფასების უნარი. ეს სკოლები ღარიბია ისტორიული რუკებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით; არ არის მოწყობილი ისტორიის კლასკაბინეტები.

არადამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ გეოგრაფიაში ორპირის (მასწავლებელი შ. ჯინჯიხაძე), ტყიბულის მეორე (მასწ. ვ. ქეზევაძე) საშუალო სკოლების მოსწავლეები. ამ სკოლებში არ არის მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტები, მოედნები და არ სწარმოებს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.

დაბალ ცოდნას იჩენენ ბიოლოგიურ დისციპლინებში ტყიბულის მეხუთე (მასწ. ე. კილაძე), ტყიბულის მეორე (მასწ. ა. ქეთილაძე), გურნის (მასწ. ა. კახიანი) საშუალო სკოლების მოსწავლეები, გურნისა და კურსების საშუალო სკოლებში არ არის მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტები, არ არის ორგანიზებული კლასგარეშე მუშაობა, სუსტია ნორჩ ნატურალისტთა წრეების საქმიანობა, არ ხდება კაბინეტების შევსება მოსწავლეთა ნამუშევრებით.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული სპეციალური საგნების სწავლება. სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს გურნის (მასწ. გ. ხერხაძე, მ. ძოწენიძე), საწირის (მასწ. ე. სოფრომაძე) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. გურნის, საწირისა და კურსების საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთები მოუვლელია, არაა ჩატარებული საშემოდგომო სამუშაოები, არ წარმოებს ცდადაკვირვებები და სხვა. ორპირის (დირექტორი თ. ბაბუხადია), გურნის (დირექტორი ბ. გაბადაძე) საშუალო სკოლებში არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი.

შემოწმებული სკოლების სამუშაო გეგმები ზოგადია, საკითხები კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული, არაა ნაჩვენები შესრულების კალენდარული ვადები და შემსრულებლები; ნაკლებად არის გათვალისწინებული საკითხები ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების დონის ამაღლების შესახებ.

რაიონის ზოგიერთ სკოლაში დაბალია აკადემიური წარმატება. მაგალითად, მეორე მეოთხედის შედეგად ორპირის საშუალო სკოლაში 435 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 85 (20%), საწირის საშუალო სკოლაში კი 259 დან 45 (21%) მოსწავლე; კურსების საშუალო სკოლაში I მეოთხედში ვერ ასწრებდა 4, გურნის საშუალო სკოლაში 4, ხოლო ტყიბულის მეხუთე საშუალო სკოლაში 8 პირველი კლასელი მოსწავლე.

დასახელებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო პასუხისმგებლობით არ ემზადება გაკვეთილებისათვის და სუსტად მუშაობს საკუთარ თავზე, ხოლო თავის მხრივ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ქმედით დახმარებასა და კონტროლს ვერ ახორციელებს მასწავლებელთა მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. ტყიბულის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე გ. ნასარაია):

ა) უზრუნველყოს ამ ბრძანების განხილვა რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახოს საქმიანი ღონისძი-

ებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1962 წლის ბიუჯეტის და ადგილობრივი სახსრების გამოყენებით უზრუნველყოს მომავალი სასწავლო წლისათვის ყველა 8-წლიანი და საშუალო სკოლა სათანადოდ მოწყობილი სასწავლო კაბინეტებითა და სახელოსნოებით;

გ) ქმედითი ზომები მიიღოს სასკოლო მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის, მიაღწიოს იმას, რომ მათზე ნამდვილად წარმოებდეს სასწავლო-საცდელი მუშაობა;

დ) მკაცრი ზომები მიიღოს იმ სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ განათლების განყოფილების მითითებებს;

ე) სათანადო ზედამხედველობის ქვეშ დააყენოს ც. ჯანელიძის, ბ. წერეთლის, ნ. გვენეტაძის, ა. კეთილაძის (ტყიბულის მეორე საშ. სკოლა); ა. ბაბუხადიას, ნ. უკლებას, ნ. მოწონელიძის, ა. ლომთაძის, ი. ივანიშვილის, მ. ძოწენიძის, გ. ხერხაძის (გუნის საშუალო სკოლა); ქ. ჯინჯიხაძის, ვ. ბასილაძის, მ. აფხაიძის, ა. ჩხიკვაძის, ნ. ახვლედიანის, ა. ბახტაძის, გ. გიორგაძის, ბ. ნიშნიანიძის, შ. ჯინჯიხაძის (ორპირის საშ. სკ.); ი. ზოსიაშვილის, ი. უკლებას (კურსების საშ. სკ.); ე. ბახტაძის (ტყიბულის პირველი საშ. სკ.), ლ. გარნოვსკის, ე. კილაძის (ტყიბულის მეხუთე საშ. სკ.); ს. ბუხაიძის, ე. სოფრომაძის (საწირის საშ. სკ.) პედაგოგიური საქმიანობა და მიაღწიოს იმას, რომ აღნიშნული მასწავლებლები მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მინდობილ საქმეს, სისტემატურად მუშაობდნენ თავის თავზე და ბეჯითად ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისათვის.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) არსებითად გააუმჯობესონ მასწავლებლებისადმი დახმარება, გაკვეთილების შემოწმების ხარისხი. მასწავლებლებს მისცენ მეცნიერულად და მეთოდურად გამართული შენიშვნები და მითითებები და მოსთხოვონ მათი შესრულება;

ბ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ ცალკეული საგნების, წარმოებითი, შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების, ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის პირითადი საკითხები და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) მეთოდური მუშაობა წარმართონ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანებისა და მითითებების

შესაბამისად, ფართოდ განაზოგადონ და დანერგონ მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებანი;

დ) სამუშაო გეგმები გადაამუშაონ იმგვარად, რომ ისინი რეალურად ასახავდნენ სასკოლო ცხოვრების ყველა უბანს და ნამდვილად ეხმარებოდნენ მასწავლებლებს სასკოლო საქმიანობის სწორად წარმართვის საქმეში; გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ-მეთოდური პრინციპების სრული დაცვით.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 6 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება აბაშისა და ცხაკაიას რაიონების ზოგიერთ დაწყებით სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1962 წლის 20 აპრილი

გავეცანი რა აბაშისა და ცხაკაიას რაიონების ზოგიერთ დაწყებით სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის განსახორციელებლად. ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს აბაშის რაიონის განათლების განყოფილების მიერ 15 დაწყებითი სკოლიდან შესწავლილია 11 სკოლის მუშაობა, შემოწმების შედეგები განხილულია სახალხო განათლების საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე, მიღებულია საქმიანი გადაწყვეტილებანი, მიმართული დაწყებით სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნისაკენ.

სკოლებში სათანადო მუშაობაა ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განსახორციელებლად: აღსანიშნავია, რომ არც ერთ შემოწმებულ სკოლაში მიმდინარე წელს განთესვის არც ერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი.

დამაკმაყოფილებლად აქვთ დაყენებული დედა ენის სწავლება მასწავლებლებს ქ. ბარქაიას (ცხაკაიას I-ლი დაწყებითი სკ.), ე. კარანაძეს (აბაშის რაიონის მარანჭალის დაწყებითი სკოლა), მ. მიმინოშვილს (აბაშის რაიონის ზანათის დაწყ. სკოლა), ნ. ხარბედიას (ცხაკაიას რაიონის ზემოთეკლათის დაწყ. სკოლა). ეს მასწავლებლები კარგად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ახალი მასალის ახსნისას მოხერხებულად იყენებენ თვალსაჩინოებას, ყურადღებას აქცევენ საშინაო დავალების საფუძვლიან შემოწმებას, გავლილი მასალის განმეორებას და განმტკიცებას.

ერთგვარი მიღწევები აქვთ არითმეტიკის სწავლების საქმეში მასწავლებლებს ე. კარანაძეს და ნ. გიორბელიძეს (აბაშის რაიონის მარანჯალისა და თხმელარის დაწყებითი სკოლები). სწავლების პროცესში ისინი ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეებს აძლევენ პროგრამული მასალის ცოდნას არითმეტიკაში და მისი ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

ზოგიერთ დაწყებით სკოლაში ჯეროვან ნიადაგზე დგას შრომისათვის ბავშვთა ფსიქოლოგიური მომზადების საქმე. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აბაშის რაიონის ძიგურის დაწყებითი სკოლის (მასწ. ც. ბოკუჩავა) მოსწავლეთა მიერ პლასტელინით ფაქიზად და გემოვნებით შესრულებული ძერწვის ნიმუშები (სურები, გარეული და შინაური ცხოველები, ხალხური ზღაპრების გმირები). ამ სკოლას შრომით სწავლებაში კარგად აქვს გამოყენებული აგრეთვე სასწავლო მიწის ნაკვეთი.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული დაწყებითი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

უწესრიგობა და უსუფთაობაა ცხაკაიას რაიონის ზემოთეკლათის დაწყებით სკოლაში (გამგე ნ. ჯიშკარიანი). სკოლის შენობა დიდი ხნის გაურემონტებელია, იატაკები ჩატეხილია და უსუფთაო, მინები ჩამტვრეულია, მოუვლელი და დაუმუშავებელია სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. ნაკვეთზე გაშენებული ჩაის პლანტაცია გადაუბარავია და მასში შეტანილი არ არის სასუქი.

ზემოთეკლათის დაწყებით სკოლაში, სადაც 5 მასწავლებელი მუშაობს, შექმნილი არ არის პედაგოგიური საბჭო; მასწავლებლებს არა აქვთ კლასის ხელმძღვანელთა III მეოთხედის სამუშაო გეგმები.

მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ცხაკაიას რაიონის ზემო ფოცხოს დაწყებით სკოლას (გამგე ო. მალანია); სკოლის შენობა მეტად პატარაა და სკოლისათვის შეუფერებელია. სკოლას არ გააჩნია ცალკე სამასწავლებლო ოთახიც კი—იგი პირველკლასელთა საკლასო ოთახშია მოთავსებული; მერხები ძველია, დამტვრეული და ისიც არასაკმაო რაოდენობით—თითო მერხზე ხშირად 3 ბავშვი ზის.

დროულად არ ფორმდება საჩემიოს დაწყებით სკოლაში პედაგოგიური საბჭოს ოქმები. ზემო ფოცხოს და საჩემიოს დაწყებითი სკოლების პედსაბჭოს ოქმები არ არის ზონარგაყრილი, დალუქული და განათლების განყოფილების გამგის მიერ დამოწმებული. არ არის მოწყობილი შრომითი სწავლების ოთახი საჩემიოს დაწ-

ყებით სკოლაში, მაშინ როდესაც ამ სკოლას ორი მოზრდილი ოთახი საწყობად აქვს გადაქცეული.

ცხაკაიას რაიონის ზემოთეკლათისა და ზემო ფოცხოს, აგრეთვე აბაშის რაიონის მარანჭალის დაწყებითი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სრულიად არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის № 488 ბრძანებას — „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე „მითითებებს დაწყებით კლასებში ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ“.

დაბალ დონეზე აქვთ დაყენებული დედაენის სწავლება მასწავლებლებს: აგრაფინა შამათავას, ვლადიმერ სანაიას, ნუცა ფოცხორაიას (ცხაკაიას რაიონის ზემო ფოცხოს დაწყ. სკ.), შურა შენგელაიას, ანგელინა ბესელიას (ცხაკაიას რაიონის ზემოთეკლათის დაწყებითი სკოლა), მერი ქადარიას (აბაშის რაიონის ძიგურის დაწყ. სკოლა), შუშანა გოგიშვილს (აბაშის რაიონის თხმელარის დაწყ. სკოლა), ვენერა ჩემიას, ბაბილინა ჯლამაძეს (ცხაკაიას რაიონის საჩემიოს დაწყ. სკოლა), ჟიჟი ხუბუას (ცხაკაიას 1-ლი დაწყებითი სკ.), გალინა თელიას (აბაშის რაიონის მარანჭალის დაწყ. სკოლა) და ვარვარა მიმინოშვილს (აბაშის რაიონის ზანათის დაწყ. სკოლა). ეს მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან და გაკვეთილებს ატარებენ უფერულად და მოსაწყენად; ახალი მასალის ახსნისას ზოგჯერ კმაყოფილდებიან სახელმძღვანელოდან ტექსტის მხოლოდ წაკითხვით, თვითვე უშვებენ ენობრივ შეცდომებს, ვერ ამჩნევენ და არ ასწორებენ მოსწავლეების მიერ დამახინჯებულად წარმოთქმულ სიტყვებსა და წინადადებებს.

ზემო ფოცხოსა და ზემო თეკლათის მოსწავლეებმა სუსტად იციან ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული მასალა; მათ საერთოდ უჭირთ ქართულად სწორად მეტყველება, რაც იმის შედეგია, რომ მასწავლებლები შ. შენგელაია და ა. შამათავა არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ბავშვთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად მშობლიურ ენაში, არ განმარტავენ და ზოგჯერ არასწორადაც უხსნიან ბავშვებს უცნობ სიტყვებს, ყურადღებას არ აქცევენ გამომეტყველებითს, მხატვრულ კითხვას, გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალიდან, პრაქტიკიდან მოწყვეტით, რის გამო მოსწავლეებს უმეტეს შემთხვევაში გაზეპირებული აქვთ ცალკეული ცნებები და წესები გრამატიკიდან, მაგრამ მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარი არ შესწევთ. ეს მასწავლებლები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე მოსწავლეთა წერითი მე-

ტყველების კულტურის ამაღლებისათვის, გულდასმით არ ასწორებენ რვეულებს, ვერ ამჩნევენ და გაუსწორებლად სტოვებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ უხეშ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და ზოგჯერ ფაქტობრივ შეცდომებსაც; არ იცავენ განათლების სამინისტროს მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის ნორმებისა და სახეების შესახებ, თითქმის სრულიად არ იყენებენ წერის ისეთ სახეებს, როგორიცაა შთაბეჭდილებათა გადმოცემა, სურათის აღწერა, დეფორმირებული ტექსტების აღდგენა და სხვ. საკონტროლო წერითი ნამუშევრები ხშირ შემთხვევაში შესრულებულია უსუფთაოდ, ცუდი ხელით და შეფასებულია ლიბერალურად.

სუსტად ფლობენ რუსულ ენას და მისი სწავლების მეთოდებს მასწავლებლები მ. ბოკუჩავა (ძიგურის დაწყ. სკოლა), თ. ცაავა, ნ. ხუხუა, ჟ. ხუბუა (ცხაკაიას I-ლი დაწყებითი სკოლა), ე. ოჩიგავა (საჩემიოს დაწყებითი სკოლა), ნ. ჯიშკარიანი (ზემო თეკლათის დაწყებითი სკოლა), ისინი არ ატარებენ სასაუბრო გაკვეთილებს, არ ასწორებენ მეტყველების დროს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; რვეულებს ასწორებენ დაუდევრად, არ მუშაობენ მოსწავლეთა კალიგრაფიის დახვეწაზე. რუსულ ენაში განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოავლინეს თხმელარის (აბაშის რ.) და ზემო ფოცხოს (ცხაკაიას რ.) დაწყებითი სკოლების მოსწავლეებმა (მასწავლებლები ე. დონდუა და მ. სანაია). თხმელარის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეები ვერ ახერხებენ საკლასო ოთახის აღწერასაც კი, რაც პროგრამით ჯერ კიდევ მეორე კლასში უნდა შეესწავლათ. მასწავლებელი მ. სანაია (ზემო ფოცხო) სრულიად ვერ ფლობს რუსულ ენას, არ იცნობს პროგრამასაც კი და, ცხადია, მისი მოსწავლეებიც რუსული ენის სრულ უცოდინარობას ავლენენ. ე. დონდუა და მ. სანაია არ ასწორებენ მოსწავლეთა რვეულებს, რვეულები მეტად უსუფთაოა და უხეში შეცდომებით სავსე; მოსწავლეთა ნაწილმა არ იცის ყველა ასოს წერაც კი.

შემოწმებულ სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება არითმეტიკის სწავლება. მასწავლებლები ა. შამათავა (ზემო ფოცხო), შ. შენგელაია (ზემო თეკლათი), ტ. ცაავა (ცხაკაიას I-ლი დაწყებითი სკოლა), გ. თელია (მარანჭალა), ვ. მიმინოშვილი, მ. მიმინოშვილი (ზანათი), მ. ქადარია (ძიგური), ვერ აძლევენ მოსწავლეებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის მყარ ცოდნას არითმეტიკაში. აღნიშნული მასწავლებლები ზედმეტ მეურვეობას იჩენენ მოსწავლეთა მიმართ და დასმულ კითხვებზე თვითონვე პასუხობენ, არ აძლევენ საშუალებას მოსწავლეებს დამოუკიდებლად იმუშაონ ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე. ამის შედეგად

მოსწავლეთა ცოდნა არითმეტიკაში ძალზე დაბალია. ასე, ზემო ფოცხოს დაწყებითი სკოლის მე-4 კლასის 15 მოსწავლიდან ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო არა თუ უბრალო ამოცანის ამოხსნა, არამედ მისი ამოხსნის სწორად წარმართვაც კი. ცხაკაიას I-ლი დაწყებითი სკოლის IV კლასის 19 მოსწავლიდან დადებითი შეფასება—„3" მიიღო მხოლოდ ერთმა მოსწავლემ. ზემო თეკლათის დაწყ. სკოლის IV კლასის 20 მოსწავლიდან „3" მიიღო მხოლოდ სამმა მოსწავლემ, ხოლო ზანათის სკოლის 14 მეოთხე კლასელიდან—ექვსმა მოსწავლემ. ჩატარებულმა საკონტროლო წერამ არითმეტიკაში მოსწავლეთა დაბალი მომზადება გამოავლინა აგრეთვე თხმელარის, საჩემიოს, ძიგურისა და მარანჭალის სკოლებში.

ზოგიერთ დაწყებით სკოლაში დაბალ დონეზეა დაყენებული ისტორიის პირველდაწყებითი კურსის სწავლება. მასწავლებლები ბ. ჯლამაძე (საჩემიო), და შ. გოგიშვილი (თხმელარი) ისტორიის სწავლებისას არ იყენებენ თვალსაჩინოებას; საჩეიმიოს დაწყებით სკოლას სრულიად არ გააჩნია რუკები და ამ სკოლის მასწავლებელმა მ. ჯლამაძემ ახალი მასალა „ფაშიზმზე გამარჯვება", სადაც აღწერილია საბჭოთა არმიის შეტევითი ბრძოლები ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ და ჩვენი ჯარების შეჭრა ბერლინში, ბავშვებს გადასცა ზეპირსიტყვიერად, რუკის გარეშე. არ წარმოებს ჯეროვანი მუშაობა ისტორიაში გავლილი მასალის გამეორებასა და განმტკიცებაზე, მოსწავლეები ცუდად ერკვევიან ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებში, ვერ ასახელებენ მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს.

ბუნებისმცოდნეობაში გავლილი მასალისა და საშინაო დავალების „საქართველოს ბარი" სრული უცოდინარობა გამოავლინეს ზემო თეკლათის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა; მასწავლებელი შ. შენგელაია თვითონ ვერ ფლობს საგანს და ცალკეულ ელემენტარულ საკითხებზე მცდარ განმარტებას აძლევს ბავშვებს. ბუნებისმცოდნეობის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგრეთვე ზემო ფოცხოსა და საჩემიოს დაწყებით სკოლებში. ცხაკაიას რაიონის დაწყებით სკოლებში ბუნებისმცოდნეობის სწავლების დაბალი დონე იმითაცაა გამოწვეული, რომ ამ სკოლებში არასაკმაო რაოდენობით არის ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოები; მაგალითად, ზემოთეკლათის დაწყებითი სკოლის IV კლასის 20 მოსწავლიდან სახელმძღვანელო აქვს მხოლოდ 4 მოსწავლეს, ხოლო ზემო ფოცხოში 15 მოსწავლიდან —ერთს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მუსიკა სიმღერა. ხატვა

და ფიზიკური კულტურა, რადგან აღნიშნული საგნების სწავლება ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებს უძღვებათ; ამასთან სკოლებს არ გააჩნიათ მინიმალური პირობები ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ჯეროვნად მოწყობისათვის: არ არის მოწყობილი ფიზკულტურული მოედნები სარბენი ბილიკებით, სახტომი ორმოებით და ტანვარჯიშული იარაღებით, რაც სკოლებს საკუთარი ძალებითაც შეეძლოთ მოეწყოთ. სკოლები გარდა ზანათის დაწყებითი სკოლისა, არ ატარებენ დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშს, ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს ატარებენ პრიმიტიულად.

ზოგიერთი მასწავლებელი არადამაკმაყოფილებლად ფლობს ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს; მაგალითად, მასწავლებლები გ. თელია, მ. ქადარია, ბ. ჯლამაძე, ე. ოჩიგავა ვერ ახერხებენ ერთდროულად სრული დატვირთვით ამუშაონ ორივე კლასი.

შემოწმებულ სკოლებში მოუწესრიგებელია საბიბლიოთეკო მეურნეობა და მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვა: წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული ბიბლიოთეკურად, არაა შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები კლასების მიხედვით; ბიბლიოთეკებში ხშირად შეხვდებით ბავშვებისათვის შეუფერებელ ლიტერატურას.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას პიონერთა და ოქტომბრელთა შორის მუშაობა — შემოწმებული სკოლების უმრავლესობას არა აქვს პიონერული ატრიბუტები, არ არის მოწყობილი პიონერული კუთხეები, არ წარმოებს პიონერთა შორის ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

დასახელებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად არის იმის შედეგი, რომ აბაშისა და ცხაკაიას რაიონების რვაწლიანი და საშუალო სკოლები, რომლებზედაც მიმაგრებული არიან დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლები, არასაკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ ყოველდღიურ მუშაობაში მათზე მიმაგრებულ სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშისა და ცხაკაიას რაიონების დაწყებითი სკოლების გამგეებმა:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ყოველდღიურ მუშაობაში საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 3 ივლისის № 488 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ და მითითებებით „დაწყებით კლასებში ძი-

რითადი სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ", რის საფუძველზეც გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აამაღლონ ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლების დონე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ სკოლებთან არსებული ბიბლიოთეკების ნაყოფიერი მუშაობა, გაამდიდრონ ისინი საბავშვო ლიტერატურით, დანერგონ მოსწავლეთა შორის წიგნისადმი სიყვარული;

გ) იზრუნონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი პედაგოგიური დახელოვნებისათვის; მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებლები საფუძვლიანად დაეუფლონ ორ კლასთან მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს.

2. აბაშისა და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. პ. ყურაშვილი, ე. კერძაია):

ა) გააძლიერონ მუდმივი ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისადმი;

ბ) დაწყებით სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობაზე პირადი პასუხისმგებლობა დააკისრონ იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ცალკეული დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლები;

გ) დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყონ საშუალო განათლებისა და მცირე გამოცდილების მქონე მასწავლებელთა ჩაბმა უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საკურსო ღონისძიებებში;

დ) პედკაბინეტების მეშვეობით ფართოდ განაზოგადონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება; გააძლიერონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მიმართ მეთოდური დახმარება და ამ საქმეში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანებითა და „მითითებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ";

ე) სისტემატურად მოაწყონ დაწყებითი სკოლებისადმი მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება;

ვ) უზრუნველყონ ამ ბრძანების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედსაბჭოებსა და პედთათბირებზე განხილვა და პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდასაქმნელად.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებამ განათლების სამინისტროს მუშაკთა მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები გახადა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მჯელობის საგნად, [illegible] გადაც ზემო თეკლათის დაწყებითი სკოლის გამგეს და სხვა სუსტად მომუშავე მასწავლებლებს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი.

4. აბაშის რაიონის განათლების განყოფილებამ ეს ბრძანება განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი და მკაცრი ზომები მიიღოს იმ მასწავლებელთა მიმართ, რომელთაც არადამაკმაყოფილებლად აქვთ დაყენებული ცალკეული დისციპლინების სწავლება.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 13 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ასპინძის, ადიგენისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1962 წელი 19 აპრილი

გავეცანი რა ასპინძის, ადიგენისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატების საქმიანობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ერთგვარი წარმატებების მიუხედავად აღნიშნული სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსები შეუფერებელია სასწავლო მუშაობისათვის, სივიწროვეა საძინებელ ოთახებში, ამ ინტერნატებს არ აქვთ საკუთარი აბანო, სამრეცხაო, საშრობი, კეთილმოუწყობელია პირსაბნები, ტუალეტები და სხვ. არ არის მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები და შრომითი სწავლებისათვის შესაფერი სახელოსნოები, არაა გამოყოფილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები. ადიგენისა და ასპინძის სკოლა-ინტერნატებში კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის შეძენილია ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც მათთვის არ არის საჭირო—ადიგენის სკოლა-ინტერნატს შეძენილი აქვს 11 ცალი მიკროსკოპი, იმ დროს, როდესაც არა აქვს გლობუსი, კომპასი და ცდების დასაყენებელი სხვა სახის მოწყობილობა, ხელსაწყო-იარაღები მოთავსებულია ნესტიან ოთახში.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ადიგენის სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ჭიანურდება აგრეთვე კანალიზაციისა და საქვაბის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა; ადიგენისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებს არა აქვთ ეზო სპორტული მოედნების მოსაწყობად.

აღსაზრდელები არადამაკმაყოფილებლად არიან მომარაგებულნი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით. ადიგენის სკოლა-ინტერნატის II—IV კლასის მოსწავლეებს შემოწმების დროს არ ჰქონდათ სხვადასხვა დასახელების 149 ცალი სახელმძღვანელო; სახელმძღვანელოები აკლიათ აგრეთვე ასპინძისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს.

სკოლა ინტერნატები არაა დაკომპლექტებული სათანადო განათლებისა და სპეციალობის მქონე კადრებით. ასპინძის სკოლა-ინტერნატში დანიშნულია 8 აგრონომი, აქედან ვ. თურ[illegible]ბის გამგედ, მ. ზედგენიძე — მხატვრული წრის ხელმძღვანელად, ამავე ინტერნატში უცხო ენას ასწავლის ისტორიკოსი ვ. ალელიშვილი; ადიგენის სკოლა-ინტერნატში ფიზკულტურას ასწავლის ისტორიკოსი პ. მაისურაძე, ფიზკულტურის წრეს ხელმძღვანელობს არასპეციალისტი რ. ნოვრეზოვი, ხოლო მუსიკას ასწავლის მუსიკის არმცოდნე ნ. მასხარაშვილი. ასპინძისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატების III—IV კლასებში ფიზკულტურას ასწავლიან საგნის არასპეციალისტები.

ადიგენის, ასპინძისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებში აღმზრდელ-მასწავლებელთა სამუშაო გეგმები თითქმის ერთფეროვანია; ასპინძის სკოლა-ინტერნატში მესამე მეოთხედის სააღმზრდელო გეგმები შედგენილია ტრაფარეტულად, სასწავლო წლის I და II ნახევრის გეგმების მიხედვით. შემოწმების დროს დასახელებული სკოლა-ინტერნატებისათვის არ იყო გამოყოფილი საშეფო ორგანიზაციები, არ მუშაობდა მზრუნველთა საბჭოები. ახალციხის განათლების განყოფილების (გამგე ბ. ახვლედიანი) მიერ სასწავლო წლის I ნახევარში არაა შესწავლილი სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

სუსტია სკოლა-ინტერნატებში პიონერთა და ოქტომბრელთა შორის მუშაობა.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის III კლასში 30 მოსწავლიდან ქართულ ენაში გაკვეთილი „ყინვა და მოსწავლე“ (მასწავლებელი ნ. საძაგლიშვილი, აღმზრდელები თ. თორთლაძე, ქ. გოგიბერიძე) არ იცოდა 20 მოსწავლემ; მოსწავლეებს რუსულ ენაში უჭირთ ტექსტების კითხვა, მასწავლებელი დ. საძაგლიშვილი სწავლების დროს ძირითადად იყენებს პირდაპირი თარგმანის მეთოდს, ამ კლასში სექტემბრის თვეში, საკონტროლო წერა არ არის ჩატარებული, ხოლო ოქტომბერ-ნოემბერსა და დეკემბერში ჩატარებულია თითო წერა; მოსწავლე ბ. კ-ძის წერითი ნამუშევარი მასწავლებლის მიერ დაუდევრადაა გასწორებული მოსწავლის მიერ დაშვებულია 18 შეცდომა, ნაშრომი კი შეფასებულია 3-ზე. IV კლასის მასწავლებლის მ. წიქარიშვილის მოსწავლეებმა არ იციან რუკის კითხვა: ისინი სუსტ ცოდნას იჩენენ აგრეთვე ბუნებისმცოდნეობის სხვა ძირითად საკითხებშიც. მასწავლებელი ნ. წიქარიშვილი თვით უშვებს შეცდომებს გაკვეთილზე, მან მოსწავლეებს განუცხადა „მდინარე ვოლ-

გა ერთვის შავ ზღვასო“. ამ კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან მათემატიკის მასალაც.

ასპინძის სკოლა-ინტერნატში მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედში შეფასებული 150 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 36 მოსწავლე, II მეოთხედში 139 მოსწავლიდან - 28; ადიგენის სკოლა-ინტერნატში შეფასებულ 134 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა I მეოთხედში—18, II მეოთხედში 134-დან—13; ასპინძის სკოლა-ინტერნატის V კლასში არითმეტიკის საკონტროლო წერაში 31 მოსწავლიდან დაბალი ნიშანი დაეწერა 8 მოსწავლეს, ადიგენის სკოლა-ინტერნატის V კლასის 27 მოსწავლიდან კი—4 მოსწავლეს (მასწავლებლები პ. ხატიძე, პ. გზირიშვილი).

ძალზე სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ადიგენის სკოლა ინტერნატის V კლასის მოსწავლეებმა რუსულ ენაში (მასწავლებელი ვ. ფლიგინსკაია): რუსულ ენას არა საკმაოდ არიან დაუფლებული ადიგენის III—IV და ასპინძის III კლასების მასწავლებლები ლ. ტაბიძე, გ. კუბლაშვილი, ნ. ზედგენიძე, ისინი ვერ ახერხებენ მუშაობას მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებაზე და კმაყოფილდებიან მხოლოდ ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმნით; წერითი ნამუშევრების გასწორების დროს მათ შეუმჩნეველი რჩებათ არსებითი შეცდომები. ამის შედეგია, რომ III—IV და V კლასის ზოგიერთმა მოსწავლემ არ იცის ცალკეული ასოების მართებულად წერაც კი.

ასპინძისა და ადიგენის სკოლა-ინტერნატებში არაა მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტი და გეოგრაფიული მოედნები (მასწავლებლები ს. მამუკაშვილი, გ. ტაბიძე); არ ტარდება კინო-გაკვეთილები; არ სწარმოებს ბუნების მოვლენებზე დაკვირვება და სხვ. მოსწავლეებში არ არის დანერგილი კონტურულ რუკებზე მუშაობის ჩვევები. ადიგენის სკოლა-ინტერნატს არ მოეპოვება გლობუსი, კომპასი და სხვა აუცილებელი გეოგრაფიული ხელსაწყო-იარაღები, ასპინძის სკოლა-ინტერნატს მცირე რაოდენობით აქვს ქიმია-ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-რეაქტივები; აღნიშნული საგნები ზეპირსიტყვიერად ისწავლება აგრეთვე ადიგენის სკოლა-ინტერნატში.

ტაშისკარის სკოლა-ინტერნატში ირღვევა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1960 წლის 1 ოქტომბრის № 323 ინსტრუქციით გათვალისწინებული წესები, არ არის შემოღებული ინსტრუქციით გათვალისწინებული ყველა საბუღალტრო წიგნი, ადგილი აქვს თანხების გადახარჯვა-აუთვისებლობის ფაქტებს, ასე, მაგალითად, დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით გადახარჯულია 2697 მანეთი, ხოლო აუთვისებელია 2241 მანეთი. სათანადო ყურადღება არ ექ-

ცევა მენიუ-განაწერის სწორად შედგენას. 1962 წლის 16 იანვარს შეფ-მზარეულის მოვალეობის შემსრულებელს ე. ხაჩიძეს ზედმეტი აღმოაჩნდა სხვადასხვა პროდუქტები; მეორე კერძი უნდა ყოფილიყო 500 გრამი, ფაქტიურად აღმოჩნდა 200 გრამი. მატერიალური ფასეულობათა აღწერები არ ტარდება დადგენილ ვადებში. სკოლა-ინტერნატის დირექტორის უყურადღებობის გამო აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი ნორმით დაწესებული რბილი ინვენტარით — აღსაზრდელებს აკლიათ 216 ცალი ბამბის ზედაპერანგი, 120 ცალი ზაფხულის ქუდი, 120 წყვილი შალის წინდა, 120 წყვილი ფლოსტი, 79 წყვილი კალოში, 120 ცალი ბალიშის გადასაფარებელი, 120 ცალი ლინლის ბალიში.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში დარღვევების ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე ასპინძისა და ადიგენის სკოლა-ინტერნატებში (ბუხჰალტრები შ. აკოფიანი და ო. ბერიშვილი).

ასპინძის სკოლა ინტერნატში გადახარჯულია სამეურნეო და სასწავლო ხარჯებში — 529 მანეთი, ხელფასსა და მივლინებაში — 91 მანეთი; ამავე დროს ათვისებული არ არის აღსაზრდელთა კვების თანხებიდან 738 მანეთი. კუთვნილ ნორმასთან შედარებით სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს დააკლდათ 326 კგ ერბო და კარაქი, 287 კგ შაქარი, 231 კგ ნამცხვარი, 1408 კგ ბოსტნეული, 360 კგ ახალი ხილი, 254 კგ ხორცი, 2098 ლიტრი ნატურალური რძე, 5274 ცალი კვერცხი. დარღვეულია ერთი აღსაზრდელის კვება-დღის საშუალო ღირებულება. ნორმების დარღვევით და უხარისხოდ დგება აღსაზრდელთა კვების მენიუ-მოთხოვნილება. აღსაზრდელებს დღემდე არ აქვთ ნორმით გათვალისწინებული საშემოდგომო პალტო და შალის საბანი; ნორმასთან შედარებით მათ დააკლდათ ბამბის ქსოვილის კოსტუმი, ბამბისა და შალის წინდები და სხვ. აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არ არიან პირადი ჰიგიენის საგნებით (ჯაგრისი, კბილის ფხვნილი). ირღვევა საბუხჰალტრო აღრიცხვის არსებული ინსტრუქცია მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა და სალაროს წარმოების წესის შესახებ. სასურსათო საწყობში არსებული ზოგიერთი კვების პროდუქტის 1962 წლის 11 თებერვლის ნაშთის აღწერით საწყობის გამგეს ვ. თურქაძეს აღმოაჩნდა 6 მან. და 09 კაპ ღირებული კრუპეულისა და ხახვის ზედმეტობა.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს ადიგენის სკოლა-ინტერნატში. დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ზოგიერთი მუხლებიდან გადახარჯულია 413 მანეთი, ხოლო აუთვისებელი დარჩა 1134 მანეთი. გეგმასთან შედარებით აღსაზრდელებს დააკლდათ 7773 ცალი კვერცხი, 2239 კგ ბოსტნეული, 1909 კგ კარტოფილი,

993 კგ ახალი ხილი, 770 კგ თევზი, 216 კგ ხორცი, 221 კგ შაქარი და სხვ; სრულიად არ მიუღიათ აღსაზრდელთათვის ნორმით კუთვნილი 462 კგ ნატურალური რძე. აღსაზრდელებს ასევე აკლიათ ნორმით კუთვნილი 54 ცალი პალტო, 43 ცალი რეიტუზი, 29 ცალი ზამთრის ქუდი, 55 ც. შარფი, 125 წყვილი შალისა და 135 წყვილი ბამბის წინდა, 122 წყვილი კალოში და სხვა. აღსაზრდელებს არ აქვთ ჯაგრისები, კბილის ფხვნილი და სხვ. სასურსათო საწყობის გამგეს მ. ქომეთიანს მ/წლის 16 თებერვალს აღმოაჩნდა 3 მან. და 96 კაპ. ღირებული 7 სახელწოდების კვების პროდუქტის ზედმეტობა და 7 მან. და 98 კაპ. ღირებული 5 დასახელების კვების პროდუქტის დანაკლისი. ადგილი აქვს აღსაზრდელთა შენახვის ქირის დავალიანების ფაქტებს; ირღვევა საბუხჰალტრო აღრიცხვის არსებული წესი. აღსაზრდელთა კვების მენიუ-მოთხოვნილება დგება კვებაზე რიცხულ საერთო კონტინგენტზე და არა ერთ ბავშვზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. ახალციხისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ბ. ახვლედიანი და კ. მესხი):

ა) გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი; სისტემატურად აწარმოონ მათი მუშაობის შესწავლა, დროულად განიხილონ შემოწმების მასალები და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უზრუნველყონ ქმედითი ღონისძიებების გატარება;

ბ) აამაღლონ სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სწავლებისათვის აუცილებელი ბაზის შექმნისა და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისების საქმეში;

გ) გააძლიერონ საშეფო ორგანიზაციებისა და მზრუნველთა საბჭოების მუშაობა;

დ) გადასინჯონ სკოლა-ინტერნატებში კადრები და შეუფერებელი მუშაკები სათანადო წესის დაცვით წარმოადგინონ სამუშაოდან განსათავისუფლებლად.

2. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მათი გაკვეთილები და შეუქმნან მათ შესაფერი პირობები თავის თავზე ნაყოფიერი მუშაობისათვის;

ბ) ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ თითოეული მათგანი საფუძვლია-

ნად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში ხელსაწყოების თვითკეთების საქმე და ხელი შეუწყონ ამ ხელსაწყოების პრაქტიკულად გამოყენებას ლაბორატორიულ მუშაობაში;

ბიბლიოთეკა

გ) წლიური სამუშაო გეგმები შეადგინონ იმგვარად, რომ ისინი მოიცავდნენ ყველა აუცილებელ საკითხს; აღმზრდელ-მასწავლებელთა გეგმები შედგეს ინსტრუქციის შესაბამისად, მეთოხედების მიხედვით, გეგმას აუცილებლად ეცნობოდეს დირექტორი;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ ისინი გულდასმით ასწორებდნენ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრებს; მასწავლებელთა მუშაობის შემოწმების შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;

ე) სწორად შეადგინონ გაკვეთილების ცხრილი, ძნელად ასათვისებელი საგნები ცხრილში შეიტანონ პირველ რიგში;

ვ) სათანადო ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურულ მუშაობას, შექმნან აუცილებელი ბაზა ამ საგნის სწავლებისათვის; ამ საგნის სწავლება III—IV კლ. მიანდონ სპეციალისტებს;

ზ) სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, უზრუნველყონ მათი მომზადების დონის ამაღლება.

თ) ზუსტად დაიცვან საფინანსო დისციპლინა და მტკიცედ იხელმძღვანელონ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით, სათანადო ყურადღება მიაქციონ მოხსენებით ბარათში აღნიშნულ საბუხჰალტრო საბუთების გაფორმების საქმეს;

ი) მტკიცედ იხელმძღვანელონ მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის, შენახვის, გამოყენებისა და შემოწმების შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1960 წლის 17 სექტემბრის № 323 ინსტრუქციით;

კ) რბილი ინვენტარის შეძენა აწარმოონ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთათვის დაწესებული ნორმების მიხედვით;

ლ) საწყობში გამოვლინებული ზედმეტობა აიღონ შემოსავალში, ხოლო დანაკლისი დააწეროონ გადასახდელად;

მ) ყოველი თვის ბოლოს სამეურნეო კომისიებმა აწარმოონ პროდუქტების აღწერა და შედეგების გამოყვანა; რბილი ინვენტარის აღწერები ჩაატარონ ყოველი კვარტალის ბოლოს მაგარი ინვენტარისა კი — წელიწადში ორჯერ;

არ დაუშვან დარღვევები ბავშვთა შენახვის გადასახადის დარიცხვისა და აკრეფის საქმეში.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ა. და

დუა) დააჩქაროს ადიგენის სკოლა-ინტერნატის შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა და უზრუნველყოს სასწავლო კორპუსის მშენებლობის დროულად დამთავრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 13 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლის შესახებ

1962 წელი, 24 აპრილი

გავეცანი რა მასალებს საქართველოს სსრ-ში 1962-63 სასწავლო წლიდან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების შესახებ, აღვნიშნავ, რომ სახალხო განათლების განყოფილებებმა ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს. რესპუბლიკის ყველა ქალაქი და რაიონების დიდი უმრავლესობა როგორც სასწავლო მატერიალური ბაზის, აგრეთვე მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის მხრივ მომზადებული ხვდება შვიდწლიანი სკოლების რვაწლიან სკოლებად რეორგანიზების საქმეს. რიგ რაიონებში გათვალისწინებულია არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო და სხვა ოთახების მიშენება, რაც განხორციელებული იქნება 1962-63 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში.

მიუხედავად ამისა, ზოგან ამ მხრივ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. განსაკუთრებით ითქმის ეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, წალკის, მარნეულისა და ახალქალაქის რაიონების შესახებ, სადაც დღემდე არაა შექმნილი აუცილებელი პირობები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე დაუბრკოლებლივ გადასვლისათვის.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე რიგ რაიონებში სასკოლო ასაკის ბავშვთა რვაწლიან სკოლებში ჩაბმისა და მოსწავლეთა ამ კონტინგენტის შემდგომ კლასებში შენარჩუნების საქმეში. მაგალითად, 1955-56 სასწავლო წელს პირველ კლასებში მიღებული ბავშვებიდან მიმდინარე სასწავლო წელს მე-7 კლასში სწავლობს: სამხრეთ ოსეთის სკოლებში 56. 9%, ბოლნისის რაიონში—50. 3%, დმანისის რაიონში—59%, მარნეულის რაიონში—52%, თეთრიწყაროს რაიონში—57. 2%, წალენჯიხის რაიონში 55. 8% და ა. შ.

ვბრძანებ:

1. ვავალებ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს პირადად უხელმძღვანელონ და 1962-63 სასწავლო წლიდან აუცილებლად უზრუნველყონ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე ყველა შვიდწლიანი სკოლის შეუფერხებლივი გადაყვანა; ზუსტად აღრიცხონ და სწავლებაში ჩააბან სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და აღკვეთონ საპატიო მიზეზის გარეშე მოსწავლეთა სკოლებიდან განთესვა.

2. განათლების სამინისტროს ზონის ინსპექტორებმა მკაცრი ზედამხედველობა და კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით დასახულ ღონისძიებათა გატარებაზე მათზე გაპიროვნებულ რაიონებში და ყოველი ხელისშემშლელი მიზეზის შესახებ, თუ ასეთს ადგილი ექნება, დაუყოვნებლივ მაცნობონ. განსაკუთრებით ვავალებ ამას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, წალკის, მარნეულისა და ახალქალაქის ზონის ინსპექტორებს ამხ. ამხ. ი. დიდებულიძეს, ქ. გაჯილაროვსა და ს. შახსუვარიანს.

3 მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლები სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, ხელსაწყო-იარაღებით, პრეპარატებით და სისტემატური კონტროლი დააწესოს ადგილებზე მათ მიზიდვაზე გათვალისწინებული გეგმის მიხედვით.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ა. ღადუა) გააძლიეროს კონტროლი იმ მშენებლობათა მიმდინარეობასა და აგრეთვე კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე, რომლებიც საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით წარმოებს, დროზე გამოავლინოს სამუშაოთა შეუსრულებლობა ან ჩამორჩენა და მიიღოს გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) დროზე გაანაწილოს და მოთხოვნილებათა მიხედვით დანიშნოს მასწავლებელთა ახალი კადრები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენების, მუსიკისა და სიმღერის მასწავლებლებით სკოლების დაკომპლექტებას.

6.საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) საჭირო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს სასკოლო ქსელის, კლასებისა და მოსწავ-

ლეთა კონტინგენტის შესრულების საქმეში და მიიღოს ზომები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებლივ დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სკოლების სამმართველოს უფროსმა (ამხ. დ. ჯავახია) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР О РЕЗУЛЬТАТАХ ОБСЛЕДОВАНИЯ УЧЕБНО-ВОСПИТАТЕЛЬНОЙ РАБОТЫ В РУССКИХ СРЕДНИХ ШКОЛАХ г. РУСТАВИ

1962 г. 24 апреля

Ознакомившись с результатами обследовния учебно-воспитательной работы в средних школах № 1, № 3, № 11 и № 12 гор. Рустави, отмечаю, что основная часть руководителей и учителей этих школ правильно понимает новые задачи, стоящие перед школой.

Многие учителя русского языка и литературы добросовестно готовятся к урокам, строят их методически правильно, много внимания уделяют развитию письменной и устной речи учащихся, знакомят учащихся с идейным содержанием и художественными особенностями литературного произведения, добиваются прочных знаний учащимися пройденного материала, выполняют нормы письменных работ, правильно оценивают письменные работы учащихся (Сихно Н. М., Урдия Э. В., Слащева С. Г., Жуковская М. И.—средняя школа № 3, Бергер С. Г., Шапиро А. П.—средняя школа № 11; Шерман Н. Б.—средняя школа № 12, Петросян С. И.—средняя школа № 1 и др.).

Значительная часть учителей математики уроки проводит на должном научно-методическом уровне, добивается прочных знаний учащимися пройденного программного материала, обращает внимание на сознательное овладение основными математическими понятиями и методами, вырабатывает у учащихся умения и навыки самостоятельного решения задач практического характера, соблюдает нормы и виды контрольных работ, своевременно и об'ективно оценивает их (Тушурашвили В. И.—средняя школа № 1; Скрынников И. А., Азоева М. Г.—средняя школа № 3 и др.).

В удовлетворительном состоянии преподавание химии. Учащиеся VII—XI классов свободно пишут формулы веществ и уравнения реакций. Преподаватели систематически проводят

демострационные опыты и практические занятия, практикуют решение экспериментальных задач, совместно с преподавателями биологии работают на пришкольном учебно-опытном участке, выясняя влияние макро — и микроудобрений на различные сельскохозяйственные культуры, применяют ядохимикаты для борьбы с вредителями и болезнями культурных растений (преподаватели Покровская Г.С. — средняя школа № 1, Сунаева Т. А. — средняя школа № 3, Дудникова И. Е. — средняя школа № 11 и другие).

Учащиеся под руководством классных руководителей активное участие принимают в общественно-полезном труде.

Неплохо поставлено трудовое обучение учащихся в V—VIII классах. Для этой цели средние школы № 3 (директор Скрынников И. А.), № 11 (дир. К. И. Максимович) и № 12 (дир. В. И. Пайчадзе) с помощью шефствующих организаций организовали хорошо оборудованные, просторные учебные мастерские, в которых занятия по труду проводят квалифицированные специалисты.

В указанных школах удовлетворительно поставлено производственное обучение учащихся IX—XI классов, правильно выбраны базы производственного обучения, на которых учащиеся с помощью квалифицированных специалистов приобретают производственную профессию.

Однако в работе вышеуказанных школ имеются и значительные недостатки.

Одна часть учителей русского языка и литературы на уроках языка редко проводит словарные диктанты и орфографические пятиминутки, тогда как эти формы работы играют определенную роль в повышении грамотности учащихся; редко увязывает изучение русского языка с проходимым литературным материалом, не обращает внимания на выразительность чтения разбираемых текстов, нерегулярно использует наглядные пособия. На уроках литературы все еще слабо поставлено эстетическое воспитание, редко на уроках можно увидеть диафильмы, иллюстрации, картины выдающихся художников.

Часть учителей математики недостаточно тщательно проверяет классно-домашние тетради учащихся, кроме контрольных работ общего типа не проводит сокращенных по объему и содержанию контрольных работ; редко заставляет учащихся решать в уме геометрические задачи; зачастую при неправильном опре-

делении, даваемом учащимися, не объясняет в чем состоит допущенная ими ошибка.

Не стоит на должной высоте кружковая работа по математике в средней школе № 11. План работы математического кружка учащихся V—VI классов, руководимого завучем школы Авраамовым А. Д. , составлен неграмотно. Руководимый завучем той же школы Рехвиашвили А И. другой математический кружок объединяет учащихся со значительной разницей в возрасте и уровне подготовки (VII—VIII—IX—X—XI классы).

В обследованных школах недостаточное внимание уделяется лабораторным занятиям по химии. На уроках химии в IX классе средней школы № 12 (преп. Кафиева Н. Г.) учащиеся удовлетворяются лишь формально правильно составленными уравнениями реакции, не задумываясь над вопросом—возможны ли эти реакции.

В средней школе № 11 неправильно осуществлен подбор и расстановка руководящих кадров. Оба завуча школы А. Д. Аврамов и А. И. Рехвиашвили по специальности являются преподавателями математики, причем перегружены учебной нагрузкой—у тов. Аврамова – 23 недельных часа, у тов. Рехвиашвили – 14 часов. Вследствие этого указанные товарищи не в состоянии осуществлять действенное руководство и контроль за учебно-методической работой в школе. С начала учебного года тов. Аврамов прослушал всего 50 уроков, а тов. Fехвиашвили—19 уроков.

В средней школе № 3 (дир. Ш. В. Рехвиашвили) до сих пор не создана соответствующая учебно-материальная база для нормального ведения трудового обучения по дереву и занятий по машиноведению.

Средние школы № 11 и № 12 не имеют самостоятельных учебных кабинетов физики, химии и биологии, в результате чего уроки по этим предметам зачастую проводятся в классных комнатах.

Приказываю,

1. Отметить удовлетворительную работу руководителей и основной части учителей средних школ № 1, № 3, № 11 и № 12 гор. Рустави.

II. Зав. Отделом просвещения гор. Рустави (тов. С. Роснадзе):
1. Усилить руководство и контроль за работой русских школ, на

заседаниях совета по народному образованию систематически обсуждать результаты обследования этих школ.

2. Совместно с директором средней школы № 1 тов. Рехвиашвили принять действенные меры для того, чтобы к началу 1962—1963 учебного года обеспечить создание необходимой учебно-материальной базы для нормального ведения занятий по труду в этой школе.

3. Совместно с директорами школ тов. тов. Максимович и Пайчадзе принять меры для организации хорошо оборудованных самостоятельных учебных кабинетов физики, химии и биологии в средних школах № 11 и № 12.

4. Обеспечивать правильный подбор и расстановку руководителей школ, не допускать случаев перегрузки их уроками.

III. Директорам и заведующим учебной частью:

1 Систематически и на высоком уровне осуществлять руководство и контроль за работой учителей и других работников школ, систематически посещать уроки учителей, анализы прослушанных уроков обсуждать на заседаниях педагогического совета; добиваться того, чтобы все учителя проводили уроки на высоком идейном, научном и методическом уровне.

2. Усилить методическую работу в соответствии с новыми требованиями, улучшить внеклассную работу с учащимися, широко обобщать и внедрять опыт передовых учителей; оказывать практическую и методическую помощь начинающим учителям.

3. Принять решительные меры для улучшения учебно-материальной базы школ.

V. Настоящий приказ обсудить на заседаниях педагогических советов школ гор. Рустави.

VI. Управлению школ (тов. Д. Джавахия) проследить за выполнением настоящего приказа.

Основание: постановление коллегии министерства просвещения Грузинской ССР от 6 апреля 1962 г.

Министр просвещения
Грузинской ССР Т. Лашкарашвили.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება მასწავლებელთა XV სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ

1962 წ. 24 აპრილი.

აღენიშნავ, რომ XV რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. გორის, მახარაძის, ზესტაფონის, სიღნაღის, ზუგდიდის რაიონების სკოლების მასწავლებლებმა და სკოლის სხვა მუშაკებმა, მასწავლებელთა დახელოვნების, პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდისტებმა და მეცნიერ თანამშრომლებმა, აგრეთვე პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა. ადგილებზე ჩატარებული „პედაგოგიური კითხვის" საფუძველზე პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა მიიღო 600-მდე მოხსენება; შესაბამის 17 სექციაში წასაკითხავად დაშვებული იქნა 276 მოხსენება.

კონფერენციაზე გამოტანილი მოხსენებები გამომდინარეობენ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის იმ აქტუალური პრობლემებიდან, რომლებიც სკოლისა და პედაგოგიკის მეცნიერების წინაშე დააყენა კანონმა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, სკკპ პროგრამამ და პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა. მოხსენებებში ასახულია მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის გამოცდილება სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების, კომუნისტური სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის, სწავლების შინაარსის დაზუსტების, სწავლების პროცესის აქტივიზაციის და მეთოდების სრულყოფის, სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სპეციფიკის განსაზღვრის, დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა მუშაობის გაუმჯობესების, მოსწავ-

ლეთა ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის სრულყოფის მიმართულებით.

ნაყოფიერად ჩატარდა აგრეთვე საღამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებელთა სექციის მუშაობა მიმდინარე წლის იანვარში.

სექციების მუშაობაში სათანადო ადგილი დაეთმო ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების აქტუალური საკითხების განხილვას და მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებას. სექციებში ყურადღებით იქნა განხილული საკითხი სასწავლო მუშაობით მოსწავლეთა გადატვირთვის შესახებ და წამოყენებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება.

ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ კონფერენციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს.

„პედაგოგიური კითხვის“ საფუძველზე ინსტიტუტში წარმოდგენილი მოხსენებები რიგ შემთხვევაში ნაჩქარევად არის დაწერილი, რის გამოც მოხსენებათა ნაწილი არ იქნა გამოტანილი სექციებში წასაკითხავად, მოხსენებათა ნაწილიც ინსტიტუტმა მიიღო დიდი დაგვიანებით. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად დააბრკოლა მოხსენებათა გულდასმით შერჩევა, განხილვა-რეცენზირება და მათ ავტორებთან მუშაობა.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება გულისყურით არ მოეკიდა კონფერენციისათვის მოხსენებათა გადმოგზავნის საქმეს. არც XIV და არც XV კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიათ ჯავის, ლენინგორის, ზნაურის, ახალქალაქის, დმანისის რაიონებს. XV კონფერენციისათვის სრულიად არ გამოუგზავნიათ მოხსენებები ან დაბალ დონეზე შესრულებული მოხსენებები წარმოადგინეს აბაშის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, თიანეთის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, მესტიის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ყაზბეგის, ყვარელის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალკის, წულუკიძის, წყალტუბოსა და ხობის რაიონებმა. მომავალი „პედაგოგიური კითხვის“ და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. 1963 წლის იანვარში „პედაგოგიური კითხვისა“ და 1964 წლის რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლისა და პედაგოგიკური მეცნიერების აქტუალური საკითხების დამუშავებას, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებას. „პედაგოგიური კითხვის სანიმუშო თემატიკაში“ შეტანილ

ინქას სარეკომენდაციო თემები ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა შრომითი აღზრდა, სწავლების დაკავშირება საწარმოო შრომასთან, ცხოვრებასთან, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, სწავლების პროცესიის აქტივიზაცია და მეთოდების სრულყოფა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლების მუშაობა, სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის თავისებურება, სასკოლო პიონერული და კომკავშირული მუშაობა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა და სხვ. მოხსენებათა დამუშავება წარიმართოს სკოლის გარდაქმნის შესახებ მიღებული კანონის, სკკ პარტიის პროგრამისა და სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამ ბრძანების მიღებისთანავე საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად დასახონ სათანადო ღონისძიებანი „პედაგოგიურ კითხვაში“ მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

3. პედაგოგიკის მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილებს „პედაგოგიური კითხვისათვის“ მოხსენების შერჩევასა და მომზადებაში და პედაგოგიურ კითხვას დაასწრონ თავიანთი წარმომადგენლები.

4. ახალქალაქის, დმანისის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, თიანეთის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, მარნეულის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალკის, წყალტუბოს, ხობის განათლების განყოფილებებმა ა/წლის 15 მაისამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს სათანადო ახსნა-განმარტება კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ. მათვე დაევალოს ამთავითვე მიიღონ საგანგებო ზომები მომავალ კონფერენციაში მასწავლებლების მასობრივად მონაწილეობისათვის.

5. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა საქართველოს სსრ პედაგოგიურ საზოგადოებასთან ერთად:

ა) სკოლისა და პედაგოგიკის მეცნიერების წინაშე მდგომი ახალი ამოცანების შესაბამისად გადაამუშაოს და გამოსცეს „პედაგოგიური კითხვის“ თემატიკა და მიმდინარე წლის 1 ოქტომბრა-

-მდე დაუგზავნოს იგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

ბ) 1963 წლის საგამომცემლო გეგმით დამტკიცებულ [illegible]-ბრივ კრებულებში გამოსაქვეყნებლად შეიტანოს პრაქტიკოს მასწავლებელთა საუკეთესო მოხსენებები.

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებები და ფართოდ გააშუქონ მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების საკითხები.

7. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა დაამუშაოს და განათლების სამინისტროს წარუდგინოს სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წამოყენებული წინადადებანი სახელმძღვანელოებისა და პროგრამების განტვირთვისათვის, სწავლების შინაარსის სრულყოფის, სახალხო განათლების ორგანიზაციის, სასწავლო მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, სწავლებაში რაციონალურ წინადადებათა დანერგვისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

8. XV რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით 47 და მადლობა გამოეცხადოს 62 მასწავლებელს (იხილეთ დანართი).

9. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერსა და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა მორიგ კრებულში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის დაჯილდოვდნენ

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით:

## პედაგოგიკის სექციიდან

1. ჭედია ნაპოლეონ ალექსანდრეს ძე—ოჩამჩირის რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგე;

2. ბაშინჯაღოვი მარიამ გარეგინის ასული—თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

3. ჯიოევი დიმიტრი დავითის ძე—ცხინვალის განათლების განყოფილების გამგე.

## სკოლა-ინტერნატების სექციიდან

1. ურიდია გრიგოლ რომანოზის ძე—ცხაკაიას რკინიგზის მე-2 სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

2. ქურციკიძე თამარ ვასილის ასული—თბილისის 1-ლი სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე.

## პიონერული მუშაობის სექციიდან

1. ზედანია ლამარა ივლიანეს ასული—გორის მე-2 საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი.

2. ხუციშვილი ზინა სოლომონის ასული—თბილისის 58-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი.

3. კუნჭულია გურამი გრიგოლის ძე—მახარაძის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი პიონერხელმძღვანელი.

## დაწყებითი კლასების სექციიდან

1. უროტაძე ეკატერინე არჩილის ასული—ქარელის რაიონის სოფ. ქვენატკოცის I კლასის მასწავლებელი.

2. მუნჯიშვილი ზიზი ივანეს ასული—თელავის მე-3 საშუალო სკოლის I კლასის მასწავლებელი.

3. ფარჯიანი თამარ ტარასის ასული—ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის I კლასის მასწავლებელი.

## სკოლამდელი აღზრდის სექციიდან

1. ჩიხაძე ტატიანა ალექსანდრეს ასული—ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საბავშვო ბაღის აღმზრდელი.

2. ხოჭავა ზოია კირილეს ასული—სოხუმის № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელი.

## მხატვრული აღზრდის სექციიდან

1. რევაზიშვილი ეთერ გაბრიელის ასული—წყნეთის საშუალო სკოლის სიმღერის მასწავლებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფიზიკური აღზრდის სექციიდან

1. კაკაურიძე შოთა ოქროპირის ძე—თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

## ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. რიაზანოვი ქართლოს ანატოლის ძე—ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
2. ცირეკიძე ჟუჟუნა სამუელის ასული - ბათუმის მე-3 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.
3. გველესიანი ეთერ ნიკოლოზის ასული—ზესტაფონის რაიონის შროშის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
4. ხადური ლიდა იოსების ასული—გორის რკინიგზის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
5. ანდღულაძე თამარ ბესარიონის ასული—ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
6. გუჯაბიძე ალექსანდრა გერმანეს ასული—ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. გოცაძე გიორგი ბარნაბის ძე—ზესტაფონი მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
2. კორსუნსკი სვიატოსლავ ნიკოლოზის ძე—მახარაძის რაიონის ანასეულის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
3. ნანავა გივი აკაკის ძე—წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის დირექტორი;
4. რიჟინაშვილი ფრიდა ფილხაზის ასული—ქუთაისის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## უცხოური ენების სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. შაიშმელაშვილი ბეჟან ვასილის ძე—სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

2. ბასილაშვილი ეთერი სერგოს ასული — ქ. ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ისტორიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ცაკაშვილი მიხეილ ილიას ძე — თელავის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი;
2. ციცხვაია ანზორ პოლიკარპეს ძე — ხულოს რაიონის ყინჩაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
3. ვასილიევა როზალია კონდრატეს ასული — კასპის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
4. დათუაშვილი პავლე ალექსანდრეს ძე — მაიაკოვსკის რაიონის ობჩის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

### გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ჩომახიძე იულო გერასიმეს ძე — თბილისის მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

### მათემატიკის სწავლების სექციიდან

1. სტურუა ლენა სერგოს ასული — ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
2. ლომინაძე მარიამ ალექსანდრეს ასული — ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

### ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. კოტოვჩუკი ვლადიმერ სერგოს ძე — ტყვარჩელის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
2. მონდრინა ნ. ვ. — გუდაუთის რაიონის ოთხარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

### ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ჯაფარიძე ნიკოლოზ რომანოზის ძე — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.
2. კიკვიძე ბესარიონ იასონის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

3. ჭოჭუა თინა კალისტრატეს ასული—ფოთის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

4. ტუსკია ქეთევან ირაკლის ასული—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ძაძამიძე ლილი ვალერიანის ასული—წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

2. ღელეყვა ლუბა მიხეილის ასული—აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მეთოდისტი.

### შრომითი პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ქიაბრიშვილი შალვა ზაქარიას ძე—თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი;

2. ახვლედიანი კაპიტონ პეტრეს ძე—ქუთაისის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი;

3. მიქაძე იონა იაკობის ძე—ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საწარმოო სწავლებიანი საშუალო სკოლის დირექტორი.

### საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სექციიდან

1. სალუქვაძე შალვა პლატონის ძე—ქ. თბილისის საღამოს (ცვლის) მე-11 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

2. ჯოლია კონსტანტინე ამბროსის ძე—რუსთავის საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლის დირექტორი.

ბ) გამოეცხადოთ მადლობა:

### პედაგოგიკის სექციიდან

1. მელაძეს ლილი კასიონის ასულს—თბილისის მე-60 საშუალო სკოლის დირექტორს;

2. ნიკოლეიშვილს მაყვალა გიორგის ასულს—ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

3. რამიშვილს თინა ვლადიმერის ასულს—ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

## სკოლა-ინტერნატების სექციიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ლომინაძეს თინათინ სამუელის ასულს—ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.

## პიონერული მუშაობის სექციიდან

1. კოტრიკაძეს ლავროსი კონსტანტინეს ძეს—თბილისის 58-ე საშუალო სკოლის დირექტორს;
2. გასვიანს მედეა ამბაკოს ასულს—აჭარის პიონერთა სასახლის განყოფილების გამგეს;
3. იოსებიშვილს ელენე სოლომონის ასულს—თბილისის მე-14 საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელს;
4. ბერიანიძეს ცისანა შალვას ასულს—გორის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელს.

## დაწყებითი კლასების სექციიდან

1. ხერხეულიძეს ელენე გიორგის ასულს—თელავის რაიონის სკოლის მასწავლებელს;
2. მიქაბერიძეს მერი სერგოს ასულს—თბილისის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს;
3. გალდავას სონია გრიგოლის ასულს—ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.

## სკოლამდელი აღზრდის სექციიდან

1. ტაბიძეს დინა სიმონის ასულს—სოხუმის № 11 საბავშვო ბაღის გამგეს;
2. ლექავას მელიხან გედეონის ასულს—თბილისის № 8 საბავშვო ბაღის აღმზრდელს;
3. ალადაშვილს ნინო გრიგოლის ასულს—თბილისის № 8 საბავშვო ბაღის აღმზრდელს;
4. ნანობაშვილს მერი ალექსანდრეს ასულს—წითელი წყაროს № 1 ბაგა-ბაღის აღმზრდელს.
5. გეგუჩაძეს ნათელა ანდრიას ასულს—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის სკოლამდელი აღზრდის კაბინეტის გამგეს.

### მხატვრული აღზრდის სექციიდან

1. ქართველიშვილს თამარ ვახტანგის ასულს—თბილისის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. ვაშაკიძეს მურთაზ დავითის ძეს—თელავის მე-4 საშუალო სკოლის დრამატიული წრის ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფიზიკური აღზრდის სექციიდან

1. ღლონტს გიორგი ანტონის ძეს—თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. პაპალაშვილს არჩილ იოსების ძეს—თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

### ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ბუცურეიშვილს ცისანა გიორგის ასულს—ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს;

2. ნადირაშვილს იოსებ ნიკოლოზის ძეს—სიღნაღის რაიონის ნუკრიანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

3. იზორია ლუდუკი ალექსანდრეს ძეს—ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

4. დემეტრაძეს იასონ ალექსანდრეს ძეს—ტყიბულის რაიონის დაბაძვლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

5. პეტროსოვას ნაზი ალექსანდრეს ასულს—ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

6. ცირეკიძეს პლატონ დავითის ძეს—ტყიბულის რაიონის საწირის საშუალო სკოლის მასწავლებელს;

7. ჯიჯეიშვილს იაკობ იოსების ძეს—ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

### რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ავეტისოვს ბორის ალექსის ძეს—თბილისის 104-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. კაპანაძეს ივანე ლავრენტის ძეს—ჰიათურის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;

3. თიბილოვას ზარიფა გიორგის ასულს — ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

4. ნიორაძეს ლერა გივის ასულს — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

5. დრაგანოვას ზარინა ივანეს ასულს — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

### უცხო ენების სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ცარბაკს კლარა პეტრეს ასულს — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
2. ლებანიძეს ეთერი ნიკოლოზის ასულს — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტს;
3. ბერიაშვილს იოსებ ნიკოლოზის ძეს — სიღნაღის რაიონის საქობის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

### ისტორიის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ზექალაშვილს ვლადიმერ სევერიანეს ძეს — გორის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
2. ქანდარიას გულნარა სიმონის ასულს — ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
3. გურგენიძეს ევა შიოს ასულს — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
4. თევზაძეს ნინო მიტროფანეს ასულს — სამტრედიის I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს;
5. მენთეშაშვილს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს — სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორს.

### გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. გოგიჩაიშვილს კარლო კონსტანტინეს ძეს — ბათუმის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
2. გაბუნიას თამარ ვასილის ასულს — თბილისის I ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს;
3. შალამბერიძეს თამარ ივანეს ასულს — ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
4. გიორგაძეს დარეჯან ლავრენტის ასულს — ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
5. სეინიშვილს ლამარა ნიკოლოზის ასულს — დუშეთის რაიონის ჟოჟორტის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჯაფარიძეს გრიგოლ ნესტორის ძეს — ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. გოხიძეს მიხეილ გიორგის ძეს — ქ. ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ფერაძეს ვასილ რომანოზის ძეს — ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. ცირეკიძეს ავალო დავითის ძეს — ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ფოცხვერიას ლუიზა ნოეს ასულს — ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. აბრამიშვილს დომენტი ვასილის ძეს — თელავის რაიონის რუისპირის საშუალო სკოლის მასწავლებელს;

3. ჭანტურიას ლეონტი ილარიონის ძეს — გაგრის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. მდინარაძეს დანიელ ამბაკოს ძეს — ჩოხატაურის რაიონის ვაკიჯვრის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს;

2. კუკავას ვერა ანტონის ასულს — ზუგდიდის ლენინური კომკავშირის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

3. შუბაშვილს თამარ ივანეს ასულს — ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შრომითი პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ხიზანიშვილს მელო სოლომონის ასულს — თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. ხოსიდმანს რაისა დავითის ასულს — ბათუმის მე-3 საწარმოოსწავლებიანი სკოლის დირექტორს;

3. გაფრინდაშვილს ვარლამ რაჟდენის ძეს — ზესტაფონის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს საწარმოო სწავლების დარგში;

4. უთნელიშვილს ივანე გიორგის ძეს — თბილისის მე-12 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელს.

საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლების სექციიდან

1. ავდიშევას მარგალიტა არჩილის ასულს—ზესტაფონის საღამოს (ცვლის) პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თურმანიძეს ვარა სერგოს ასულს—ზესტაფონის საღამოს (ცვლის) I-ლი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;

3. ბასკანჩილაძეს გულჩორა შალვას ასულს--თბილისის საღამოს (ცვლის) 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება მეხუთე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მეექვსე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

1962 წ. 21 აპრილი.

მეხუთე რესპუბლიკურმა კონკურსმა „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ გვიჩვენა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს სოფლის მეურნეობის საკითხების შესწავლისადმი.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 44 რაიონისა და ქალაქის 312 სკოლამ და 10 სკოლის გარეშე დაწესებულებამ, 512 ნორჩ ნატურალისტთა წრის 9637 ნორჩმა ნატურალისტმა.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა ორგანიზებულად მოაწყო შემაჯამებელი გამოფენა. წარმოდგენილ ექსპონატთა დიდი უმრავლესობა იყო სრულფასოვანი და ხარისხიანი.

კონკურსში მონაწილე სკოლებიდან და სკოლის გარეშე დაწესებულებებიდან გამოირჩეოდნენ: ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური და აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლა, ძველი ქანდის რვაწლიანი, თელავის რაიონის კურდღელაურის საშუალო, ზესტაფონის I—IV, ამავე რაიონის II სვირის, საგარეჯოს საშუალო და შვიდწლიანი სკოლები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ქუთაისისა და ჩოხატაურის, თელავის, საგარეჯოს, დუშეთის, მცხეთის რაიონების განათლების განყოფილებების კარგი მუშაობა კონკურსის ჩატარების საქმეში.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს: რესპუბლიკის ყველა რაიონი და სკოლა არ იყო ჩაბმული კონკურსში, სუსტი იყო ხელშემწყობი კომისიებისა და ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების მუშაობა ამ დარგში. ექსპონატების ნაწილს აკლდა ცდა-დაკვირვების შედეგები, დაკვირვების დღიურები და

სხვა. ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებამ, სკოლამ და სკოლის გარეშე დაწესებულებამ თავი აარიდა ამ მეტად საპატიო და მნიშვნელოვან ღონისძიებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თიანეთის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ქარელის, მახარაძის, წითელწყაროს, კასპის, წალკის და ქ. თბილისის რაიონების სკოლების კონკურსში მონაწილეობა.

კონკურსში არ მიუღიათ მონაწილეობა: ბორჯომის, ახმეტის, მესტიის, ლენტეხის, ვანის, გურჯაანის, დმანისის, მარნეულის, ონის, საჩხერის, ხაშურის, წულუკიძის, ხობის, ცაგერის, წყალტუბოს რაიონებისა და ქ. რუსთავის სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ,

I. დაჯილდოებულ იქნენ:

ა) პირველი ხარისხის დიპლომით და ფასიანი საჩუქრებით შემდეგი მოსწავლეები: (2 მან. ღირებ. ლიტერატურით).

1. მიქაძე დიომიდე პარმენის-ძე (აბაშის რაიონის ქოლობნის საშუალო სკოლა).

